ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 7 – 8 დეკემბერი, 2019

№290 (8244)

ფასი: 60 თეთრი

ადვოკატი ჯიტა გულუა: „ბერ სვიმონ ქავთარაძეს ბრალი წაუყენეს“

„რომან მალანიამ დაადასტურა, რომ ჩანთა მამაომ გადასცა“

გვ.5

3 დეკემბრიდან

რჩეული საბავშვო მოთხრობები

წიგნი I-II

ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი



„ოცნების“ საქციელი სააკაშვილის დაბრუნების შანსებს ზრდის“

გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „რა უნდათ, ვერ გავიგე, რომელი მთავრობა დარჩენილა მესამე ვადით?!“

გვ.4

ლევან კობერიძე: „დაპირისპირება „ოცნებაში“ დიდი სპექტაკლია“

„კვირიკაშვილის წასვლის შემდეგ „ოცნების“ შეკვრას ველარავინ ახერხებს“

სერგო რატიანი: „„ოცნების“ მიერ ნასროლი ყველა კვერცხი მასვე ხვდება სახეში“

გვ.3

„ხელისუფლებას გერმანული მოდელის მიღება მოუწევს“

„ვერ გავიგე, რატომ ვაწვალებთ ამდენ მოწმეს“

ირაკლი ოქრუაშვილმა არამნიშვნელოვანი მოწმეების მოხსნა მოითხოვა

გვ.2

გვ.4

ხაჯიმბამ გალის რაიონის უფროსი, თემურ ნადარაია, მოხსნა

მის ადგილზე ომარ ბგანბა დაინიშნა

გვ.2

ნიკა გვარამია: „განვმარტე, ბიძინა ივანიშვილის დამხობა რატომ არ არის სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა“

ISSN 1987-9385

4 სუსმა კალაძის გუნდში კორუფციული ფაქტების შესწავლა დაიწყო

3 14 დეკემბერს თბილისში „ქართული ოცნება“ აქციას გამართავს

5 რუსთავი-თბილისის მაგისტრალზე ტრაილერი ამობრუნდა 100 ცხვარი დაიხოცა

6 უზარმაზარმა მემკვიდრეობამ ქალი უსახლკარო ნარკომანად აქცია

ნიკა გვარამია: „განვმარტე, ბიძინა ივანიშვილის დამხობა რატომ არ არის სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა“

– ბიძინა ივანიშვილის დამხობა რატომ არ არის სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა, ეს განმამარტინეს გამოკითხვაზე, რისთვისაც მრცხვენია.

ამის შესახებ 6 დეკემბერს ნიკა გვარამიამ საქალაქო სასამართლოსთან ჟურნალისტებს განუცხადა, სადაც ის გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

ნიკა გვარამიას თქმით, საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ადევს და დეტალებზე ვერ ისაუბრებს, თუმცა, მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი სისტემა საქმეებს გრიფით „საიდუმლოს“ აბსურდულად და კონსტიტუციის დარღვევით ანიჭებს.

– 317-ე მუხლია, მოგეხსენებათ უკვე მესამედ, ამჯერად სტატუსისთვის. „საიდუმლო“ გრიფი ადევს და განგვიმარტეს, რომ საიდუმლო გრიფი ამ ეტაპზე გულისხმობს, რომ რა შეკითხვებიც დავსვით, ის არ გაახმოვანოთო, თუმცა, არაფერი გასახმოვანებელი არ არის. თვითონ შეგიძლიათ ივარაუდოთ, რა შეკითხვებს დასვამდნენ: რა ვიგულისხმე დამხობაში, რა ვიგულისხმე უზურპატორში, თუ არ იციან, რა ვიგულისხმე უზურპატორში, მაშინ საერთოდ რატომ დაიწყეს.

განვმარტე, ბიძინა ივანიშვილის დამხობა რატომ არ არის სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა. ეს განმამარტინეს, რისთვისაც მრცხვენია, არ მეგონა, რომ ამის განმარტება ამ რეჟიმის დროსაც კი მომიწევდა. თუმცა, არ ესმით აღბათ გულწრფელად, რომ ბიძინა ივანიშვილი სახელმწიფო ხელისუფლება არ არის. ოფიციალურად მაინც.

მოსამართლის აცილების საკითხი დავაყენე, უფრო სწორად, მოვუწოდე თვითაცილებისკენ. ჩემი მისდამი გამონათქვამები გამოვაქვეყნე იმიტომ, რომ ის არის მოსამართლე, რომელმაც გააგრძელა ყოველგვარი გადამოწმების გარეშე ჩემს ოჯახზე თვალთვალის ღონისძიება. მე მასზე აგრესიული დამოკიდებულება გამოვთქვი და ვუთხარი, რომ გამოვიყენებდი ჩემ სასარგებლოდ ამ გარემოებას, თუ ჩავთვლიდი, რომ ჩემი უფლებები დაირღვა, ამიტომ ვუთხარი, რომ გადაწყვიტოს თვითონ, აიცილოს თუ არა, – აღნიშნა ნიკა გვარამიამ.

მან განმარტა, თუ რას გულისხმობს დამხობაში.

– უკანონობის პროგნოზირება შეუძლებელია, პროგნოზირება შესაძლებელია იმის, რაც ლოგიკას ეფუძნება, უკანონობა არ ეფუძნება არანაირ ლოგიკას, ბიძინა ივანიშვილი ყალიბდება უკვე ტირანად და მისი გადაწყვეტილება როგორი იქნება, არ ვიცი. ის, რომ სუს-ი, პროკურატურა და მოსამართლეები არ მიიღებენ ამ გადაწყვეტილებას, ზუსტად ვიცი, მაგრამ ამას ვერაფერს ვუშველით, სანამ ბიძინა ივანიშვილს არ დავამხობთ.

დამხობა და თან უზურპატორის, ნიშნავს მის გაწევას იქიდან, რაც მისთვის არ მიუნიჭებია ერთადერთ შესაძლებელ წყაროს, საქართველოს ხალხს – მისთვის არ მიუნიჭებია უფლება, იყოს საქართველოს ხელისუფლება. ის ახორციელებს საქართველოს ხელისუფლების ფუნქციებს. ამას ჰქვია სახელმწიფოს მიტაცება და ეს დაარქვა არა ნიკა გვარამიამ, არამედ ბევრმა საერთაშორისო ორგანომ, ამას ჰქვია უკვე ხელისუფლების უზურპაცია.

მე ძალადობა არ მიყვარს, მაგრამ იძულებით გაწევაა, როცა არ უნდა და გასწევენ, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

გამოკითხვის შემდეგ კომენტარი გვარამიას ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმაც გააკეთა.

– მე ვფიქრობ, გრიფის დადების ერთ-ერთი მიზანი სწორედ ის არის, რომ ჩვენ საჯაროდ არ ვისაუბროთ თუ რა კომიკური და სასაცილო კითხვები იყო დასმული გამომძიებლის მხრიდან, – აღნიშნა მან.

მისივე თქმით, სუს-ის ფუნქცია არა ფეისბუქპოსტების გაკონტროლება, არამედ სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე ზრუნვა უნდა იყოს.

– სასაცილოა ეს ყველაფერი, ამ ქვეყანაში აღბათ საქართველოს შეიარაღებული ძალების საიდუმლო ბაზების და შეიარაღების ინფორმაციას ადევს გრიფი და მეორე ნიკა გვარამიას იმ სტატუსს, რომელიც მან ფეისბუქზე გამოაქვეყნა. რეალურად, რა თქმა უნდა, არათუ გრიფის დადება, არამედ ზოგადად ამ საკითხზე გამოძიების დაწყება და პირის დაბარება არის კომიკური და მეტი არაფერი. ეს კარგად აისახებოდა დღეს სასამართლო დარბაზში, – განაცხადა ადვოკატმა.

მას უჭირს მომავლის პროგნოზირება, რადგან „უკვე ვცხოვრობთ იმ რეალობაში, სადაც ფეისბუქპოსტის გამო ხდება გამოძიების დაწყება“.

– ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები მთლიანად არიან გასული გონივრულობის ჩარჩოებიდან და ისინი არ ასრულებენ კანონით მათზე გაწერილ ფუნქციას იმიტომ, რომ სუს-ის ფუნქცია სინამდვილეში ფეისბუქპოსტების კონტროლი კი არა, არამედ სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე ზრუნვა უნდა იყოს.

ეს ორგანოები ასრულებენ ერთი ადამიანის, ბიძინა ივანიშვილის ნებას და ასეთ შემთხვევაში ვერ გამორიცხავ ვერაფერს, იმიტომ, რომ რა დავალებაც ექნებათ, იმ დავალებას შეასრულებენ, – დასძინა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

ნიკა გვარამიას საქმის პროკურორმა, ელიზბარ გოზალიშვილმა, კომენტარისგან თავი შეიკავა.

– რა მუხლით მიმდინარეობს გამოძიება და რა ფაქტზე, კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ადევს, – განაცხადა მან.

პროკურორმა ვერც ის თქვა, რატომ დაედო საქმეს გრიფი „საიდუმლო“.

– რატომ დაედო საქმეს გრიფი „საიდუმლო“, ამაზე რომ პასუხი გავცე, მომიწევს ფაქტობრივი მონაცემების გამჟღავნება, რისი უფლებაც მე კანონით არ მაქვს.

თუ რა მუხლით მიმდინარეობს გამოძიება, რა ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს, ამასთან დაკავშირებით მე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან საქმეს მინიჭებული აქვს გრიფი „საიდუმლო“. გრიფი „საიდუმლო“ საქმეს ენიჭება კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, – განმარტა პროკურორმა.

მისივე თქმით, ნიკა გვარამია დაიბარეს იმიტომ, რომ „მოწმეს (ნიკა გვარამიას) გააჩნდა კონკრეტული ინფორმაცია კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.“

პროკურორმა თქვა, რომ ნიკა გვარამიასგან ყველა შეკითხვაზე მიიღეს პასუხი.

გიგი უგულავა: „ან დავიბრუნებთ თავისუფალ არჩევნებს, ან გადავეშვებით ჭაობში“

ოპოზიციამ ქუთაისში აქცია მოაწყო

– ჩვენ ვართ ძალიან მნიშვნელოვან გასაყარზე, ან დავიბრუნებთ თავისუფალ არჩევნებს, ან მართლა გადავეშვებით ჭაობში. სხვა გზა საქართველოს არ აქვს.

ეს განცხადება „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ 6 დეკემბერს ქუთაისში მიმდინარე აქციაზე გააკეთა.

მისი თქმით, ხელისუფლება და ოპოზიცია უნდა იყოს არა ივანიშვილის, არამედ ხალხის მოსაწონი.

– ის ნადირი, რომელიც გვართმევს არჩევნებს, ცალი ფეხით უკვე გვყავს ხაფანგში. შემწყდეულია უკვე ივანიშვილი ხაფანგში და ის, რასაც ჩვენ ვუყურებთ, იმ გავეშებულ ველურობას, კვერცხების და რაღაც ნივთების სროლას, საკუთარი ტყავის გადარჩენას, ყველაფერი არის იმის ნიშანი, რომ ივანიშვილი ცალი ფეხით არის ხაფანგში და ჩვენი ამოცანაა, ბოლომდე მივიყვანოთ საქმე და წავართვათ ის, რაც გვეკუთვნის ჩვენ.

წავართვათ ის, რაც არის ყველასი, წავართვათ ის, რაც განგვასხვავებს ჩვენ მთელ რეგიონში. დაგვიბრუნეთ პროპორციული არჩევნები და მერე დავეჭიდოთ ერთმანეთს, ვინ ვის აჯობებს, გადაწყვიტოს ხალხმა, მხოლოდ და მხოლოდ ხალხმა და არავინ სხვამ.

თუ ივანიშვილს უნდა ამ ხაფანგიდან გამოსვლა, ხაფანგის გასაღები ჩვენს ხელშია და მანამ, ვიდრე კისრამდე არ შესულა ხაფანგში, საიდანაც მერე ქრისტე ღმერთი ვერ გამოიყვანს, მოეგოს გონს.

ადამიანი, რომელიც იკადრებს და იტყვის, რომ მე მანამდე ვიქნები პოლიტიკაში, ვიდრე ჩემი მოსაწონი ოპოზიცია არ იქნებაო, ყველა დიქტატურა, ყველა ავტოკრატია, ყველა უმსგავსობა იწყება ამ ფრაზით. ასე არის ისტორიაში, ასეა თანამედროვეობაში, ასეა ლიტერატურასა და კინოში. ადამიანი, რომელიც იკადრებს და იტყვის, მე უნდა მომწონდესო, ის ადამიანი არის უზურპატორი და ართმევს ხალხს არჩევანს, – განაცხადა გიგი უგულავამ.

ოპოზიციური პარტიები და მათი მხარდამჭერები თავდაპირველად კიკვიძის პარკში შეიკრიბნენ. იქიდან კი მხარდამჭერებთან ერთად მსვლელობით მივიდნენ დავით აღმაშენებლის მოედანთან, სადაც ქუთაისის მერიის შენობაა განთავსებული.

მსვლელობისას და აქციის მიმდინარეობის დროსაც რამდენიმე ინციდენტი მოხდა, ვითარება კი პოლიციის ჩარევის შემდეგ განიმუხტა.

ნინო ბურჯანაძემ რუსეთს ბოდიში მოუხადა გავრილოვის ინციდენტის გამო?

ბურჯანაძის პარტიაში ეს ინფორმაცია უარყვეს

„ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ბოდიში მოიხადა ანტირუსული პროვოკაციის გამო, რომელიც ზაფხულში, საქართველოს პარლამენტში, მართლმადიდებლობის საპარლამენტო ასამბლეის მუშაობის დროს მოხდა.

ამის შესახებ ინფორმაცია რუსულმა სააგენტო „ტასმა“ გაავრცელა.

– მე არ მეშინია ბოდიში მოვიხადო ამ საშინელი ინციდენტის გამო. ბოდიში, რომ შეგაწყვეტინეთ, მაგრამ ნებას არ მოგცემთ დაასრულოთ, სანამ ბოდიშს არ მოგიხდით, რადგან ვფიქრობ, რომ ეს პირველ რიგში ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოს შეურაცხყოფაა, – მიმართა ნინო ბურჯანაძემ რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელს კონსტანტინე კოსაჩოვს შეხვედრისას.

აღნიშნული ინფორმაცია ბურჯანაძის პარტიაში უარყვეს.

– რუსულ მედიაზე დაყრდნობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს ნინო ბურჯანაძემ კოსაჩოვთან შეხვედრაზე ბოდიში მოიხადა გავრილოვის ინციდენტთან დაკავშირებით.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ნინო ბურჯანაძეს არავისთვის ბოდიში არ მოუხდია, მით უმეტეს, გავრილოვის ვიზიტთან დაკავშირებით. „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ყველა თავის გამოსვლაში როგორც საქართველოში, ასევე რუსეთის ფედერაციაში ყოველთვის აცხადებდა, რომ სერგეი გავრილოვი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში თავისი ნებით არ ჩამჯდარა და ის საქართველოს ხელისუფლებამ ჩასვა აღნიშნულ სავარძელში, სიტუაციის გამწვავებისას კი მთავრობამ სტუმრის დაცვაც ვერ უზრუნველყო.

სწორედ ეს გაიმეორა ქალბატონმა ნინომ კოსაჩოვთან შეხვედრისას – ფაქტს უწოდა სამწუხარო, თუმცა მას მომხდარზე ბოდიში არ მოუხდია, – განაცხადა ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, ჯილდა მაჭავარიანმა.

„ვერ გავიგე, რატომ ვაწვალებთ ამდენ მოწმეს“

ირაკლი ოქრუაშვილმა არამნიშვნელოვანი მოწმეების მოხსნა მოითხოვა



– პატიმრობამდე წნევა 150 მქონდა, ახლა მაქვს 110.

ამის შესახებ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა 6 დეკემბერს სასამართლო პროცესზე განაცხადა.

მან თქვა, რომ არამნიშვნელოვანი მოწმეების დაკითხვით დროს კარგავს, ვინაიდან ის სხვა საქმეზეც ბრალდებულია და იმ სხდომებსაც უნდა დაესწროს.

20 ივნისის საქმეზე სახელმწიფო ბრალდებას 400-ამდე მოწმე ჰყავს დასაკითხი. სწორედ, არამნიშვნელოვანი მოწმეთა მოხსნა მოითხოვა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა.

– ვერ გავიგე, რატომ ვაწვალებთ ამდენ მოწმეს, – განაცხადა ოქრუაშვილმა, რასთან დაკავშირებითაც, მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული კითხვა მანაც დასვა, როცა ოქრუაშვილი პროცესებს არ ესწრებოდა.

– ჩვენი მიზანი პროცესის გაწელვა რომ იყოს, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა მოწმის დაკითხვას მოვითხოვდით. დილემის წინაშე ვარ, მეორე საქმეზე გადავერთო, თუ აქ ვიარო და ვუსმინო ამ მოწმეებს, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

– ასეთ რჩევას მოგცემთ ორივე მხარეს, მტკიცებულებებზე შევთანხმდეთ, – უპასუხა მოსამართლემ ოქრუაშვილის რეპლიკას.

აღნიშნულის შემდეგ ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ ის სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობს 5 თვეა და რომ არამნიშვნელოვანი მოწმეების დაკითხვით, სახელმწიფოს რესურსი იხარჯება.

– სახელმწიფოს ხარჯზე ვცხოვრობ, არც დენის და არც წყლის ქვითარი არ მომდის. იფიქრეთ იმაზე, რომ სახელმწიფოს და თქვენი რესურსი იხარჯება, თორემ პატიმრობამდე წნევა 150 მქონდა, ახლა მაქვს 110, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სერგო რატიანი: „ოცნების“ მიერ ნასროლი ყველა კვერცხი მასვე ხვდება სახეში“

„ხელისუფლებას გერმანული მოდელის მიღება მოუწევს“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი **სერგო რატიანი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სერგო, დავით უსუფაშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლება დღითიდღე კარგავს რეალიზმის განცდას. შეიძლება, მართლაც უჭირს ქუჩაში არსებული რეალობის გაცნობიერება ხელისუფლებას?

– სრულიად ვეთანხმები დავით უსუფაშვილს. წარმოიდგინეთ, ისეთ რეალობაშია დღეს „ქართული ოცნება“, რომ ის 12-მა სპიკერმა დატოვა. პარტიისთვის ეს დიდი დანაკარგია. საუბარია პარტიის პოლიტიკურ სახეებზე. იმდენად სამარცხვინოა დღეს „ქართულ ოცნებაში“ ყოფნა, რომ ამ ადამიანებს იქ დარჩენა არაფრად უღირდათ.

როდესაც „ქართული ოცნება“ ძალის დემონსტრირებას ახდენს, ეს სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში არიან. ძალიან უსუსურად გამოიყურებიან. მათი მხრიდან გამოვლენილი ნებისმიერი ძალადობა, მათ მიერ ნასროლი ნებისმიერი კვერცხი თავად ხვდებათ სახეში. ამით ხომ საკუთარ ხელისუფლებას ანგრევენ.

ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა, რომ საკუთარი ხელისუფლება მანამდე დაენგრია, სანამ ბოლომდე ჩამოიშლებოდა.

– კვლავ არის გუნდის შიგნით გაუგებრობა. დიმიტრი ხუნდაძე ახალი ინიციატივით გამოდის თუ ეს მორიგი სპექტაკლია?

– ეს არ არის სპექტაკლი, ეს არის შანტაჟი, როგორც ჩვეულებრივი შულერების ქმედების ნაწილია შანტაჟი, ასევე ბიძინა ივანიშვილის ქმედების ნაწილია შანტაჟი.

– ვის აშანტაჟებს, თავის გუნდს?

– ყველას, მთლიანად საზოგადოებას, მაგრამ, ყველას უნდა ესმოდეს, რომ მისი ძალები და შესაძლებლობები იწურება.

– მიუხედავად 7 მილიარდისა, მიუხედავად სახელისუფლებო რესურსისა?

– დიახ, მიუხედავად 7 მილიარდისა. ჩვენ გვინახავს, ოლიგარქები როგორ მძიმედ ამთავრებენ. ივანიშვილი არ არის გამონაკლისი. პირიქით, 7 მილიარდი ვერ შველის ამ საქმეს. როდესაც დანაშაულის ჩადენაზეა საუბარი, როდესაც საზოგადოების მოტყუებაზეა საუბარი, ამას მილიარდები არ უშველის.

ოპოზიციის რეიტინგი მუდმივად იზრდება, ხელისუფლების – იკლებს, ფული და ძალაუფლება ამას ვერ აჩერებს. აქ ხომ მთავარი ხალხის ლეგიტიმაციაა, ხალხი კი „ქართულ ოცნებას“ უარს ეუბნება, ეს არის და ეს!

– დიალოგის რესურსი ისევ არსებობს თუ ამოწურულია?

– ოპოზიცია დღეს ორი ტაქტიკით მოქმედებს: ერთი – საპროტესტო აქციები და მეორე – პოზიტიური დღის წესრიგი – ხელისუფლებას შევთავაზეთ ე.წ. გერმანული მოდელი.

ამ პირობებში გერმანული მოდელია გამოსავალი. მისი კონსტიტუციასთან შეუსაბამობაზე საუბარი არის ტყუილი. ამიტომ ხელისუფლებას მოუწევს უკანდახევა და ამ მოდელის მიღება. სხვა გამოსავალი „ქართულ ოცნებას“ არ აქვს.

ჩვენს მკითხველს შევახსენებ, რომ როდესაც მსგავსი რამ სომხეთში მოხდა, როდესაც ხელისუფლებამ ხალხი მოატყუა და დანაპირები არ შეასრულა, ეს არ მოითმინა სომეხმა ხალხმა. რაც არ მოითმინა სომეხმა ხალხმა, იმას არც ქართველი ხალხი მოითმენს.

– ნიკოლ ფაშინიანთან და სომხეთში განვითარებულ მოვლენებთან პარალელებს ავლებთ?

– დიახ, რასაკვირველია, ჩვენ პარალელებს ვავლებთ. იქაც ხელისუფლებამ საზოგადოება მოატყუა და ამისთვის დაისაჯა. ჩვენთანაც მოატყუა ხელისუფლებამ ხალხი, ამისთვის უნდა დაისაჯოს და დაისჯება კიდეც.

– როგორ? ხელისუფლება ამბობს, რომ ოპოზიციას საპროტესტო მუხტის შენარჩუნება გაუჭირდება.

– არც საზოგადოება, არც ჩვენ, ოპოზიცია, არ დაიღლება, ამაში ვარწმუნებ ხელისუფლებას. ბიძინა ივანიშვილმა ყველა თავის დანაპირებში ხალხი „გადააგდო“. ბოლოს გაირკვა, რომ წასვლასაც არ აპირებს. ეს დანაპირებიც ხომ არ შეასრულა!

ამას უკვე არავინ აპატიებს! შესაბამისად, დაღლას არავინ აპირებს. თუ ამის იმედად არიან, ძალიან ცდებიან.

საზოგადოებაში პროტესტი მზარდია და ეს ფართო საზოგადოებრივი პროტესტია.

ამას თვალნათლივ ნახავენ.

ზალკალიანი ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ეუთოს მინისტრიალის ფარგლებში შეხვედრა გამართა ეუთოს მოქმედ თავმჯდომარესთან, სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მიროსლავ ლაიჩაკთან.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე მინისტრმა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა კოლეგას ბრატისლავაში მასპინძლობისა და მინისტერიალის მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის.

შეხვედრისას მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ორგანიზაციისთვის მთავარ გამოწვევაზე, რაც ეუთოს ფარგლებში არსებულ კონფლიქტებს უკავშირდება.

კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ შემაშფოთებელ ვითარებას, საუბარი შეეხო ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო დაკავების ფაქტს, რაც მიუღებელია როგორც ორგანიზაციისთვის, ასევე მთლიანად საერთაშორისო საზოგადოებისთვის და იმედი გამოითქვა, რომ იგი უახლოეს მომავალში იქნება გათავისუფლებული.

აღსანიშნავია, რომ ქართულ მხარეს მომხდარის შემდეგ მუდმივი კომუნიკაცია აქვს ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარესთან. შეხვედრაზე მხარეებმა დადებითად შეაფასეს ეუთო-ს სლოვაკეთის თავმჯდომარეობა და მათ შორის ორგანიზაციის ფარგლებში საქართველოსთან თანამშრომლობა.

14 დეკემბერს თბილისში „ქართული ოცნება“ აქციას გამართავს

14 დეკემბერს თბილისში „ქართული ოცნება“ აქციის გამართავს.

ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ ოფისში 6 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, თბილისში გამართულ შეკრებას პარტიის მხარდამჭერები რეგიონებიდანაც შეუერთდებიან.

– გვსურს, წინასწარ გაცნობოთ, რომ 14 დეკემბერს, შაბათს, ჩვენი ორგანიზებით მასშტაბური შეკრება გაიმართება, რაც ევროსაბჭოს თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით მიმდინარე საზეიმო კვირეულს შეაჯამებს. ამ დღის აღსანიშნავად, რა თქმა უნდა, ჩვენი თანატოლები და თანაგუნდელები რეგიონებიდანაც შემოგვიერთდებიან და ყველა ხარჯს, მათ შორის ტრანსპორტირების ხარჯს საორგანიზაციო ჯგუფი უზრუნველყოფს.

ასევე, გვსურს მოვუწოდოთ პოლიტიკურად ანგაჟირებულ ძალებს, თავი შეიკავონ პროვოკაციებისა და დესტრუქციული ქმედებებისგან, რათა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს წარმატების აღნიშვნას და დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციისკენ ქართველი ხალხის სწრაფვას, საფრთხე არ შეექმნას, – განაცხადა გიორგი ჩაკვეტაძემ.

„ოცნების“ საქციელი სააკაშვილის დაბრუნების შანსებს ზრდის“

თორნიკე შარაშენიძე: „რა უნდათ, ვერ გავიგე, რომელი მთავრობა დარჩენილა მესამე ვადით?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, რომელი საარჩევნო მოდელი ჯობია ჩვენი ქვეყნისთვის, გერმანული თუ ამერიკული? ახალი დისკუსია და მოლაპარაკებები დაიწყო „ოცნებაში“, მაჟორიტარების ერთ ჯგუფს მთლიანად მაჟორიტარული ანუ ამერიკული მოდელი უნდა. ეს რამე ახალი სპექტაკლია?

– კი, სპექტაკლია. თავის ჭკუაში ხალხს აჩვენებენ რომ აი, არის ხალხი, ვინც მთლიანად მაჟორიტარულს ითხოვს. არ არის გამორიცხული, რომ დაიარონ და აკრიფონ მოსახლეობაში მომხრეები, ფული გადაუხადონ და უთხრან, მაჟორიტარული მოითხოვეთო.

– საერთოდ რატომ გაჩნდა ეს იდეა, რომ გაანეიტრალონ გერმანული მოდელი?

– რაღაც სპექტაკლია, რომ აი, არსებობს ხალხი, ვინც ითხოვს. სამარცხვინოა ეს ყველაფერი.

– ჩვენი ქვეყნისთვის რამდენად მისაღები და კარგია ამერიკული მოდელი?

– მთლიანად მაჟორიტარული თეორიულად ცუდი ნამდვილად არ არის. ყველა ინდივიდუალურად იყრის კენჭს და იბრძვის. თუმცა ღარიბ ქვეყანაში, ხომ იცით, როგორც ხდება, მილიონერი, რომელიც აკონტროლებს ყველაფერს და ყველას თავზე აზის, იგებს მარტივად.

რომ იყოს მიუკერძოებელი, ობიექტური ცესკო, რომ იყოს დამოუკიდებელი სასამართლო, დეპოლიტიზირებული პოლიცია და სპეცსამსახურები, მაშინ, კი ბატონო, იყოს მაჟორიტარული, რაზეა საუბარი, მაგრამ ეს ყველაფერი რომ არ არის?! ჩვენთან რომ იყოს იდეალური დემოკრატია, სრულად მაჟორიტარული იქნებოდა ფანტასტიკური, თუმცა არ არის დემოკრატია.

– დემოკრატია რომ იყოს, ასეთი ამბავი ხომ არ იქნებოდა, რაც ახლა ხდება?

– ნამდვილად ასეა. ამერიკული მოდელი რომ მოუნდათ, მოდი, ჯერ სხვა რამეში დაემსგავსე ამერიკას და მერე ჩამიტარე ამერიკული მოდელით. ეგრე სად არის, შენ როგორც გინდა, ისე რომ ჭრი და კერავ.

– როდემდე გაგრძელდება ეს ქაოსი?

– ეს უკვე ხელისუფლების აგონიაა. ოპოზიცია არ დათმობს არაფერს. ბოლო 7 წლის განმავლობაში ოპოზიციას, ნაცმოძრაობას პირველად აქვს მორალური უპირატესობა „ოცნებასთან“ შედარებით. შესაბამისად, ამ მომენტს ოპოზიცია არ დათმობს, ეს მისთვის პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება.

„ოცნება“ შეეცდება, ხან მაჟორიტარულის შემოგდებით, ხან ტიტუშკების მობილიზებით სიტუაცია გაანეიტრალოს. წაგებულ თამაშს თამაშობს „ქართული ოცნება“. მისთვის უარესია ასეთი არჩევანის წინაშე დაყენება, რომ ან ყველაფერი, ან არაფერი, რადგან შერეული სისტემით სწორედ ამას თამაშობს – ან ყველაფერი, ან არაფერი.

– რა იქნება, ყველაფერი თუ არაფერი?

– ორი ვარიანტია, ან მიაღწევენ შერეულს, ან ისე საშინლად წააგებენ, რომ ისევ სააკაშვილი დაბრუნდება და მერე ძალიან ცუდად წაუვათ საქმე. როცა თავად აყენებენ ასეთ არჩევანს – ან ყველაფერი, ან არაფერი, ეს თავად მათთვისაა ძალიან სარისკო. ასეთი წარუმატებელი მთავრობა რომ ხარ, ასეთი არჩევანი ძალიან სარისკოა. შეეძლოთ, შემოეღოთ პროპორციული არჩევნები და, როგორც დემოკრატიული მთავრობა, ისე შესულიყვნენ ისტორიაში, თუმცა ამაზე უარი თქვეს.

– ვადამდელი არჩევნები არც ოპოზიციას აწყობს და მაშინ რა გამოდის, 2020 წლამდე ეს სიტუაცია უნდა იყოს? თუ რის იმედი აქვს ოპოზიციას, რომ დათმობს ხელისუფლება?

– სულ ცოტა, ოპოზიციას იმის იმედი აქვს, რომ ამ აქციებითა და გარედან ზეწოლით შეარყევს „ოცნებას“ და მერე „ოცნება“ არჩევნებს წააგებს.

ორი რაღაცის იმედი აქვს ოპოზიციას. ერთი: თუ მიაღწევს „ოცნება“ 2020-ის არჩევნებამდე, მიაღწევს ძალიან დასუსტებული და შერეული სისტემითაც წააგებს, მეორე: „ოცნება“ ვერ მიაღწევს არჩევნებამდე და სულ დაიშლება ამდენ რეევაში.

– ნელ-ნელა კიდევ ტოვებენ უმრავლესობას დეპუტატები.

– ამ ხალხს თვითგადარჩენის ინსტინქტი ჩაერთო. ხვდებიან, რომ წაგებულ საქმეში არიან და გაიქცნენ. რის იმედზე აპირებს „ოცნება“ 2020-დან 2024-მდე ქვეყნის მართვას? ლეგიტიმაცია სერიოზულად შერყეულია, ნდობა დაკარგულია. საქმე პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია. რით უნდა შევიდნენ ისტორიაში?! რამე ააშენეს ან რამე რეფორმა გაატარეს?! არ ჩანს არაფერი მსგავსი.

რა უნდათ, ვერ გავიგე, რომელი მთავრობა დარჩენილა მესამე ვადით?! ამათზე უფრო წარმატებული და ეფექტური იყო წინა მთავრობა, გაკეთებული დატოვეს მაინც რაღაც, მაგრამ ვერ დარჩნენ მესამე ვადით და სამარცხვინოდ წავიდნენ. ასე რომ, ჩნდება კითხვა, რის ხარჯზე აპირებენ დარჩენას?!

– იმედი აქვთ, რომ დარჩებიან მესამე ვადით.

– ეს ხომ გამორიცხულია. მათი დარჩენის ცივილიზებული ფორმა იქნებოდა, კოალიციაში თუ შევიდოდნენ ვინმესთან, მაგრამ ამაზე ფიქრიც კი არ უნდათ.

– საერთაშორისო ჩართულობას ვხედავთ ამ პროცესში, თუმცა არანაირი ინიციატივა არ მიიღო და არ გაიზიარა „ოცნებამ“.

– მე მგონი, ეს შეხვედრა მოხდა იმის იმედით, რომ „ოცნებას“ ეგონა, ოპოზიცია არ მოვიდოდა ამ შეხვედრაზე, რომ მერე ეთქვათ, აი, ჩვენ დავთანხმდით, მაგრამ ოპოზიცია დესტრუქციულია და არ მოვიდაო. ოპოზიცია კი მივიდა ამ შეხვედრაზე. შესაბამისად, ეს სპექტაკლი რომ ჩაიშალა, მოუწიათ ყველაფერზე უარის თქმა. ყველა კარგად ხვდება, რომ არაფრის დათმობას არ აპირებენ. ყველაზე მეტად საქმეს ართულებს ის, რომ აქ ამერიკას ელჩი არ ჰყავს და ელჩის გარეშე ამერიკა ვერ რეაგირებს სათანადოდ.

– რამდენად მიდის სიტუაცია სამოქალაქო დაპირისპირებისკენ? რამდენად გამწვავდება ვითარება?

– გამწვავებულია უკვე და ეგ არის. კონტრაქციების მოწყობა საქმეს არ შველის. საქართველოს ისტორიას მაინც შეხედონ. პროპორციულზე უარის თქმა რას ნიშნავს? ნიშნავს რადიკალიზაციასა და ისევ ორი პოლუსის დატოვებას. ან მიშა, ან ბიძინა! აქ ხომ იზრდება იმის რისკი, რომ მართლა მიშა დაბრუნდეს?!

რეალურად თვითონ ზრდიან მიშას დაბრუნების შანსს. საერთოდ, პოლიტიკურ მეცნიერებაში არის ერთი კანონი, რომ თუ არჩევნები ტარდება მაჟორიტარული სისტემით, მაშინ რჩება მარტო ორი პარტია, ორი პოლიტიკური ძალა. თუ გინდა, რომ იყოს მრავალფეროვანი პოლიტიკური სპექტრი, მაშინ უნდა იყოს პროპორციული. ამათ თვითონ მიჰყავთ ყველაფერი იქითკენ, რომ იყოს ორი ძალა. იმის იმედი აქვთ, რომ მიშას შიშით ხალხი ისევ ბიძინას მისცემს ხმას.

– ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტს სხვადასხვაგვარი შეფასებები მოჰყვა. თქვენ რას იტყვით, რამდენად დააზარალა მან ოპოზიცია?

– ბურჯანაძე არც არასოდეს მალავდა თავის პოლიტიკურ ორიენტაციას. ბურჯანაძეს დაუძახეს ოპოზიციურ შეკრებაზე, რადგან ფაქტია, რომ არსებობს პოლიტიკოსი და მომხრეებიც ჰყავს. მის იგნორირებას აზრი არა აქვს. მეორეც, 2003 წელსაც და 2012 წელსაც ხელისუფლება შეიცვალა. ორივე შემთხვევაში, როგორც ვაშინგტონი, ისე მოსკოვი, მხარს უჭერდა ხელისუფლების შეცვლას. მობეზრდა შევარდნაძე როგორც ამერიკას, ასევე რუსეთს, მობეზრდა სააკაშვილი როგორც ამერიკას, ისე რუსეთს.

შესაბამისად, ბურჯანაძის ვიზიტში არის რაღაც ლოგიკა, რომ შეამოწმოს, მობეზრდა თუ არა რუსეთს ივანიშვილი. ამერიკას რომ ბეზრდება, ამას ისედაც ყველა ხედავს.

– ხომ არ შენელდება ოპოზიციის მუხტი?

– არა, არ შენელდება, მათ სანამ რესურსი აქვთ, შეეცდებიან, რომ გააგრძელონ ეს ყველაფერი და მთავრობა შეარყიონ. ერთი წელი დარჩა არჩევნებამდე და ეცდებიან, ამ ერთ წელიწადში ბოლომდე შეარყიონ.

– ანუ მთელი წელი ასეთ რყევებში უნდა ვიყოთ?

– კი, სამწუხაროდ. მე მთელი ჩემი ცხოვრება სულ რყევებში ვარ.

ლევან კობერიძე: „დაპირისპირება „ოცნებაში“ დიდი სპექტაკლია“

„კვირიკაშვილის წასვლის შემდეგ „ოცნების“ შეკვრას ვეღარავინ ახერხებს“

იაგო ნაცვლიშვილი

არსებობს თუ არა რეალური დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში?“ რას ნიშნავს ოპოზიციის აქციებისთვის კონტრაქციების დაპირისპირება? რატომ თვლის, რომ ეს დაპირისპირებები და ვადამდელი არჩევნები „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას აწყობს? და რით შეიძლება აიხსნას იურიდიული კომიტეტის მიერ 5 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტის დამოუკიდებელი კანდიდატი **ლევან კობერიძე** საუბრობს.

– ვხედავთ ერთგვარ აქციებს, კონტრაქციებსა და დაპირისპირებებს, რაც ხდება ჩვენ გარშემო, ხოლო მეორე მხრივ ვხედავთ, როგორი აზრთა სხვადასხვაობაა უმრავლესობაში საარჩევნო მოდელზე. თითქოს დაპირისპირებაა სრულად მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლაზე. რა პროცესებს ხედავთ?

– ამ შემთხვევაში „ქართულ ოცნებას“ ორი არჩევანი აქვს. ან უნდა აღიაროს, რომ საკონსტიტუციო რეფორმა ჩავარდა, რომლის შედეგად საბოლოო ჯამში უნდა მიგვეღო პროპორციული არჩევნები, რადგან ახლა მაჟორიტარები ამერიკულ მოდელს ითხოვენ, ან თუ მაშინ არ ჩავარდნილა ეს ყველაფერი, ახლა რაც ხდება, ეს ყველაფერი ფარსია.

– სპექტაკლია?

– ეს ვითომ დაპირისპირება „ქართული ოცნების“ შიგნით და ის, რომ თურმე ბიძინა ივანიშვილიც კი ვეღარ არწმუნებს თავისი გუნდის წევრებს. აქ მხოლოდ ორი ვარიანტია: ან ჩავარდა საკონსტიტუციო რეფორმა და ეს უნდა აღიაროს ქართულმა ოცნებამ, მათ შორის კობახიძემაც, რომელიც თავს იწონებდა ამით, ან ეს არის ფარსი. სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

– თქვენ არ გაქვთ ინფორმაცია, არსებობს თუ არა დაპირისპირება „ოცნების“ შიგნით?

– ჩემი მოსაზრება არის, რომ ეს არის დადგმული სპექტაკლი. ასე რომ, არ მჯერა იმის, რომ მთელ რიგ დეპუტატებს ახლა გაახსენდათ, რომ ქვეყანა იღუპება ამ სისტემით. რა გამოდის? ეს ადამიანები ეწინააღმდეგებიან პარტიის თავმჯდომარის განცხადებას, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა იყო ხალხის მოთხოვნა და „ოცნებაც“ ამ აზრზე იყო, ახლა ამბობენ, რომ ამ სისტემამ შეიძლება დაღუპოს ქვეყანა და შეიძლება მოაბრუნოს მმართველობაში ნაციონალური მოძრაობა?! ანუ მაშინ თანახმა იყვნენ და მერე გონება გაუნათდათ? მე ამის არ მჯერა. მე მგონი, საბავშვო ბაღში რომ შეხვიდეთ, ამას აღსაზრდელებიც კი არ დაიჯერებენ.

– ანუ ფარსია ის ინფორმაციებიც, რომ მამუკა მდინარაძე ეწინააღმდეგება „ამერიკულ მოდელს“, დაპირისპირებაა მასთან და შეიძლება უმრავლესობაც კი დატოვოს და ა. შ.

– ეს არის მთელი ამ სპექტაკლის პატარპატარა სცენები, რომლის საშუალებითაც „ქართული ოცნება“ ცდილობს, რომ გადაფაროს ქართველი ხალხისთვის მიცემული პირობის უკან წაღება და მოპარვა. ზღაპარში რომ არის, როგორც გრინჩმა მოპარა პატარებს ახალი წელი, ისე მოპარა თავისივე დანაპირები „ქართულმა ოცნებამ“ მოსახლეობას. ეს არის მთავარი თემა და ამან მისცა ყველა ძალას მორალური უფლება, რომ გამართოს ნებისმიერი სახის აქციები. მათ შორის ძალიან მწვავე და რადიკალური სახითაც კი.

– იმ ფაქტს როგორ აფასებთ, რაც ქუჩაში ხდება და მერიის თუ ადმინისტრაციული სამსახურების თანამშრომლები უპირისპირდებიან აქციის მონაწილეებს და იყენებენ ცოცხებს, ყავარჯნებს და ა.შ.?

– მერიის და ადმინისტრაციების წარმომადგენლები უპირისპირდებიან აქციის მონაწილეებს, რადგან „ქართულ ოცნებას“ სხვა მხარდამჭერები აღარ დარჩა და მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსია ის, ვისაც შეუძლია მათი პოზიცია ქუჩაში გამოხატოს.

„ოცნებაც“ და ნაცმოძრაობაც პოლიტიკურად გაკოტრებული ძალებია. უბრალოდ, ახლა ერთმანეთი ორივეს აწყობს. „ოცნებამ“ ნაცმოძრაობას მორალურად ლეგიტიმაცია მისცა, რომ რადიკალური ფორმითაც კი გამოვიდეს ქუჩაში და სამართლიანი პროტესტი მიითვისოს. ხალხი მართლა გამოდის ამის გასაპროტესტებლად. გაცილებით დიდი რაოდენობით ადამიანები გამოვიდოდნენ გარეთ, წამყვანი ძალა ნაციონალური მოძრაობა რომ არ იყოს.

ვხედავთ დაპირისპირებებს, სამოქალაქო დაპირისპირებად ვერ შევაფასებ, მაგრამ ფაქტია, რომ „ოცნება“ უპასუხისმგებლოდ იქცევა და მიმართავს კონტრაქციებს. ვხედავთ, რომ რეალურად საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდეც კი მივიდეს.

ეს არის ვითარება, ქვეყანაში შეიქმნას ფონი, რომ სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მივდივართ. ეს, ჩემი აზრით, ერთი სცენარისკენ არის მიმართული და ეს სცენარი ვადამდელი არჩევნებია, ხოლო მისი ავტორები „ოცნება“ და ნაცმოძრაობაა.

ვადამდელი არჩევნები მხოლოდ ამ ორ მდიდარ ძალას აწყობს, ორივეს ლეგიტიმაცია დაცლილია და, შესაბამისად, არ მგონია, რომ მოსახლეობის მხარდაჭერაც ჰქონდეს და ამიტომ ორივეს აწყობს ვადამდელი.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს არ მოხდეს.

ამას ეწინააღმდეგებიან ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებიც. ელიზაბეთ რუდი ქუთაისში იყო ჩასული და რაღაც დაწესებულება მოინახულა. ეს იმიტომ, რომ საერთაშორისო პარტნიორები ცდილობენ ცხელ წერტილში ყოფნას.

უნდა მივიდეთ არჩევნებამდე ვადების შესაბამისად და იქ უნდა გაიმარჯვოს ახალმა ძალამ და არა – „ქართულმა ოცნებამ“.

– სასამართლო კლანთან დაკავშირებით გინდოდათ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც იურიდიულმა კომიტეტმა არ დაუჭირა მხარი. რისი გამოხატულება იყო ეს?

– გასაგებია, რომ კლანი და „ქართული ოცნება“ გარიგებულები არიან და უკვე ერთ გუნდს წარმოადგენენ. ჰყავთ თავისი კანდიდატები ორივეს, შეთანხმებულები არიან რაღაც რაოდენობაზე. ფსევდოდემოკრატიული პროცესია, რომ ვიღაცებს ჩააგდებენ და ძირითად ბირთვს აირჩევენ.

ჩემი ინიციატივაა, რომ ყველას მოვუწოდო, მათ შორის დამოუკიდებელი დეპუტატების ფრაქციაში დავაყენებ ინიციატივას და პარტია მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ბოიკოტი გამოვუცხადოთ სხდომას და „ოცნება“ თავისი კლანის მოსამართლეებთან მარტო დავტოვოთ. ყველამ დაინახოს, როგორ უკეთებს ის ფორმალიზაციას კლანის გადმობარებას სააკაშვილ-ადეიშვილის მხრიდან.

როცა ჩვენ ვსაუბრობთ პროპორციულ არჩევნებზე ვითომ წინააღმდეგობასთან დაკავშირებით, წარმოიდგინეთ, რომ თურმე რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურა ყოფილა გიორგი კვირიკაშვილი, რომ მან მოახერხა შეთანხმების მიღწევა გუნდში, თუ ჩავთვლით, რომ ასეთი წინააღმდეგობა იყო. იმიტომ, რომ მაშინ კობახიძე ვერანაირად ვერ ახერხებდა ამას. მაშინ კვირიკაშვილმა შეძლო გუნდის დარწმუნება ამაში და ერთიანობაც შეინარჩუნა.

მისი წასვლის შემდეგ კი ვეღარც ივანიშვილი, ვეღარც კობახიძე, კალაძე ან სხვა ლიდერები ვეღარ ახერხებენ ამ თემით გუნდის კონსოლიდაციას. ეს ჩანს ყველგან, მათ შორის ისიც, რამხელა ნდობა ჰქონდა ამ ადამიანს საერთაშორისო ასპარეზზე.

თუ მართლა არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და თავისუფალი კენჭისყრა, ამ დროს ქვეყნის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია, როდესაც ასეთი დაპირებაა მიცემული საზოგადოებისთვის, შედარებისთვის გეტყვით, რომ სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონზე, რომლითაც ლეგიტიმაცია მიეცა კლანის გადმობარების პროცესს და რის გამოც მე დავტოვე უმრავლესობა, მაშინ თავისუფალი კენჭისყრა არავინ დაუშვა. მე არ მომცეს წინააღმდეგ წასვლის უფლება და ამის გამო დავტოვე უმრავლესობა. აქ კი, როდესაც საყოველთაო შეთანხმება იყო მიღწეული, თავისუფალი კენჭისყრა დაუშვეს.

ახლა კი „ოცნება“ საკითხის სხვა დისკურსში გადაყვანას ცდილობს და სურს, არჩევანი დააყენოს მაჟორიტარულ სისტემასა და შერეულს შორის. მაშინ გადაწყვეტილება 2016-17 წლებში უნდა მიეღო, როდესაც საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰქონდა. ახლა კი ეს აღარ აქვს და გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ. ეს ბაქიბუქისთვის არის ატეხილი.

რას ემსახურება ვითომ ერთმანეთთან ჭიდილი? ეს ემსახურება იმ დღის წესრიგის გადაფარვას, რომ მათ მოიპარეს თავიანთი დაპირება მას შემდეგ, რაც დაინახეს, რომ, სოციოლოგიური კვლევების თანახმად, უმრავლესობის მოპოვება აღარ შეეძლო.

თუ ეს ასე არაა, „ოცნებამ“ აღიაროს, რომ საკონსტიტუციო რეფორმა ჩავარდა.

საქართველომ რუსეთს ძმები გლუშკოვები გადასცა

ლალი აფციაური ამბობს, რომ საქმე შეკერილია

რუსეთის პროკურატურის მიერ ძებნილი რუსი ძმები გლუშკოვები საქართველომ რუსეთის ფედერაციას გადასცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბრალდებულების ადვოკატმა, ლალი აფციაურმა განუცხადა, ძმები პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვდნენ, თუმცა, სამივე ინსტანციის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გლუშკოვების ექსტრადირება უნდა მომხდარიყო.

ადვოკატის ინფორმაციით, მასალებში, რომლებიც რუსეთის ფედერაციიდან გადმოიგზავნა, ჩანდა, რომ საქმე „შეკერილი და გამოგონილი“ იყო.

გარდა ამისა, ლალი აფციაური აღნიშნავს, რომ მასალები ქართულმა სასამართლომ დაგვიანებით მიიღო.

– სამწუხაროდ, ჩვენმა საერთო სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს არაფერი. რუსეთის ციხეში რომ უმძიმესი მდგომარეობაა, ამას საუბრობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, არაერთი დასკვნა დევს ამაზე, თუ როგორ აწამებენ და ქრებიან პატიმრები, მით უმეტეს, როცა პოლიტიკური ნიშნით არიან ციხეში.

ამ საქმეში კი გამოკვეთილი ინტერესია, ჩვენ ეს ყველაფერი გვაძლევდა იმის თქმის საფუძველს, რომ იყო პოლიტიკური ნიშნით დევნა და ამ ადამიანების გადაცემის შემთხვევაში, ისინი შესაძლებელია, დაქვემდებარებოდნენ წამებას და არაადამიანურ მოპყრობას, უფრო მეტიც, მათ სიცოცხლეს დამუქრებოდა საფრთხე.

ვნახოთ, რა იქნება ახლა, წესი ასეთია – გადამცემი სახელმწიფო მიმღები სახელმწიფოსგან იღებს გარანტიებს, რომ არ დაექვემდებარება წამებას, მაგრამ რუსეთის ფედერაციის საქართველოსთვის მოცემული რომელი გარანტია, რომელი დადებული ხელშეკრულება იქნა შესრულებული, რომ ეს გარანტია აღსრულდეს? მით უმეტეს, ისეთ ფონზე, როცა არ გაქვს მონიტორინგის საშუალება.

როგორც წესი, გადამცემი ქვეყანა ვალდებულია აწარმოოს მონიტორინგი და როგორ უნდა შეამოწმოს, როცა დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს. ვენდეთ სიტყვაზე.

ქართული ფილმი მახსენდება – ა ბატონო, ჩემი ნამუსიო, ულვაშს რომ მოიწიწკნის და დაუტოვებს. ნამუსზე ვენდეთ რუსეთს. როგორია? – განაცხადა ადვოკატმა აფციაურმა.

რუსეთში ალექსანდრე და ვლადიმერ გლუშკოვებს თაღლითობასა და კორუფციაში ადანაშაულებენ.

ისინი საქართველოში 2018 წლის აგვისტოში დააკავეს.

სუსმა კალაძის გუნდში კორუფციული ფაქტების შესწავლა დაიწყო

ნიუპოსტის ცნობით, სუსი კახა კალაძის წინააღმდეგ წრეს კრავს – „მთავარი არხის“ ინფორმაციით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაკითხვების სერია მიმდინარეობს.

გამომძიებლები კონკრეტული ბიზნესმენებისგან თბილისის მერზე ჩვენების მიცემას მოითხოვენ.

„მთავარმა“ გაარკვია, ვინ იმყოფებოდა დაკითხვაზე უწყებაში, ვისი ბიზნესის შევიწროვებასა და რა კორუფციულ გარიგებაზე საუბრობს გამოძიება, რით უკავშირდება ამ საქმეს კახა კალაძე და დაიწყო თუ არა ბიძინა ივანიშვილმა კომპრომატების შეგროვება თბილისის მერის წინააღმდეგ.

ხაჯიმბამ გალის რაიონის უფროსი, თემურ ნადარაია, მოხსნა

მის ადგილზე ომარ ბგანბა დაინიშნა

მარიამ მჭედლიშვილი

გალის რაიონს ახალი ადმინისტრაციის უფროსი ჰყავს. შესაბამისი გადაწყვეტილება საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელმა ხაჯიმბამ მიიღო.

ქართველებით დასახლებული გალის რაიონის ყოფილი ხელმძღვანელი თემურ ნადარაია ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ხისტი და ცინიკური განცხადებებით. მისთვის დანგრეული გალის რაიონი სიმშვიდისა და სტაბილურობის ბუდე იყო.

არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო ინიციატივებს ისე გამძაფრებით ებრძოდა, რომ სკოლებს შორის ფეხბურთის მატჩს არავის ამართვინებდა. რაიონის პრობლემებს შორის ნადარაია ასახელებდა ინვესტიციებისა და ტურისტების ნაკლებობას. დანარჩენ პრობლემებს ის არ იმჩნევდა. ორიოდე წლის წინ აფხაზეთის კონტროლის პალატამ გალის რაიონის საბიუჯეტო სამსახურების შემოწმებისას ისეთი არეულ-დარეულობა აღმოაჩინა, რომ დეტალური დასკვნის დაწერა გაუჭირდა. ეს დარღვევები აფხაზეთში არავის აინტერესებდა.

ბოლო დროს ნადარაია უფრო რადიკალური გახდა და ისედაც შევიწროებულ ქართველებს ქართული სკოლების ძირფესვიანად აღმოფხვრას, ენგურგამოღმა ვაჭრობის აკრძალვასა და ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღების შემთხვევაში აფხაზეთიდან ამოძირკვას დაჰპირდა.

დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ნადარაია გადააყენა და მის მაგივრად გალის რაიონის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად ომარ ბგანბა დანიშნა.

ბგანბა ბოლო წლებში დაბა გულრიფშის გამგებელი იყო, მანამდე – ბიზნესმენი. იგი ნადარაიასავით აფხაზეთის ომის ვეტერანი არ არის.

თემურ ნადარაია 2014 წლიდან იყო გალის გამგებელი. ცოტა ხნის წინ აფხაზეთში გაიმართა ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები. ხაჯიმბას ახალ „საპრეზიდენტო“ ციკლს მოჰყვა მთელი მთავრობის გადადგომა. ბოლო დროს ნადარაია გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი იყო.

სხვა საკადრო ცვლილებებს ხაჯიმბამ ნადარაიაც მიაყოლა. აფხაზეთის მოსახლეობისათვის ეს საკადრო სვლა დიდად მოსაწონი არ აღმოჩნდა.

– ეს ბგანბა გულრიფშში ხაჯიმბას არჩევნების დროს ეხმარებოდა. ამისათვის მან ახალი „ლექსუსი“ და კარგი თანამდებობა მიიღო, – აღნიშნავს ერთი მოქალაქე.

– ნადარაიას თვითონ ჰქონდა დაწერილი განცხადება გათავისუფლებაზე. ნადარაიასთანა ხალხს პრეზიდენტი უყურადღებოდ არ დატოვებს და გვერდზე დაიყენებს, – ამბობს მეორე.

არ არის გამორიცხული, რომ ხაჯიმბას ეს ნაბიჯი ჟენევის მოახლოებულ მრავალმხრივ მოლაპარაკებებს უკავშირდებოდეს.

ნადარაიამ, რომელიც ჯერ კიდევ ვახტანგ ყოლბაიას ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობის დროს ჩართეს ჟენევის პროცესში, ბოლო ხანს ფაშისტური ანტიქართული განცხადებები აკეთა. სხვა თანამდებობაზე გადაყვანით სოხუმი მოიხსნის პასუხისმგებლობას მის გამონათქვამებზე საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე.

ჟენევის მოლაპარაკებების მოახლოებულ რაუნდზე მოსკოვში დე ფაქტო საგარეო მინისტრი დაურ კოვე ესაუბრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ანდრეი რუდენკოს.

თუ მანამდე არ გაათავისუფლეს, ჟენევაში განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის მიერ დატყვევებული აბსოლუტურად უდანაშაულო ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი იქნება.

ცხინვალში ჯიუტად იმეორებენ, რომ ვაჟა გაფრინდაშვილი „ექიმი აიბოლიტი“ არ არის, რომ ავადმყოფთან ახალგორში გადასულიყო. ცხინვალის რეჟიმის მტკიცებით, ექიმმა დაარღვია „სახელმწიფო საზღვარი“, რაც დანაშაულია.

ცხინვალის საოკუპაციო ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ეს „სამხრეთ ოსეთის“ საშინაო საქმეა. საოკუპაციო რეჟიმს ამ სიტყვების გადათქმა მალე მოუწევს.

ადვოკატი ჯიტა გულუა: „ბერ სვიმონ ქავთარაძეს ბრალი წაუყენეს“

„რომან მალანიამ დაადასტურა, რომ ჩანთა მამაომ გადასცა“

ნარკოდანაშაულში მხილებული სასულიერო პირის საქმეში ბრალდებულმა რომან მალანიამ, რომელსაც სასამართლომ გირაო შეუფარდა, 6 დეკემბერს დილით საკუთარი ჩვენება შეცვალა. ბრალდებულმა, რომელმაც დანაშაული სხვის ნაცვლად საკუთარ თავზე აიღო, საქმის ახალ გარემოებებზე პირველად ისაუბრა.

რომან მალანიამ ჩვენება მას შემდეგ შეცვალა, რაც სასულიერო პირი, ბერ-მონაზონი სვიმონ ქავთარაძე სამართალდამცავ უწყებას საკუთარი სურვილით ჩაბარდა და ნარკოდანაშაული აღიარა.

როგორც რომან მალანიას ადვოკატი აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა ამჯერად გამოძიებასთან ითანამშრომლა და დეტალებში მოუყვა გამოძიებას, თუ რა ვითარებაში მისცა მას ჩანთა სასულიერო პირმა, რომელშიც მოგვიანებით ნარკოტიკული საშუალებები აღმოჩნდა.

– რომან მალანიამ დაადასტურა, რომ სინამდვილეში ჩანთა, სადაც იყო ნარკოტიკული ნივთიერება მოთავსებული, მას მამაომ გადასცა. მისი თქმით, ბერმა გააფრთხილა, რომ ჩანთა არავის ხელში არ უნდა მოხვედრილიყო, განსაკუთრებით კი ორი ნივთი. როდესაც მალანიას პოლიციელებმა უთხრეს, რომ ჩხრეკა უნდა ჩაეტარებინათ, გაახსენდა ბერის სიტყვები. მისი თქმით, პირველი, რაც თავში მოუვიდა – დანაშაულის საკუთარ თავზე აღება იყო და თქვა, რომ ჩანთაში იყო ნარკოტიკული ნივთიერება, – განაცხადა უფლებადამცველმა ჯიტა გულუამ.

6 დეკემბერს ფოთის დროებითი მოთავსების იზოლატორში ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ბრალდებით დაკავებულ ბერს ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს.

ადვოკატ ჯიტა გულუას თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი თავს დამნაშავედ ცნობს.

– მამაოს ბრალი წარედგინა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით. ის ისევ ადასტურებს პირვანდელ ჩვენებას, რომ ჩანთა და ნარკოტიკები, რომლებიც ამ ჩანთაში იყო მოთავსებული, ეკუთვნის თავად მას. რამდენად მოესწრება დღეს აღკვეთის ღონისძიების საკითხი, ნამდვილად ვერ გეტყვით. მოსალოდნელია, რომ პროკურატურა პატიმრობას მოითხოვს, თუმცა არანაირი საფუძველი ამის არ არსებობს, რომ სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრება დააკმაყოფილოს. ყველანაირი საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ გამოყენებული იყოს ან გირაო, ან თავდებობა, ან სხვა რაიმე უფრო მსუბუქი სახის აღმკვეთი ღონისძიება, ვიდრე დაკავებაა.

რაც შეეხება რომან მალანიას, ცნობილია, რომ მასთან დაკავშირებით შეფარდებულია გირაო. იმისთვის, რომ გათავისუფლდეს საპყრობილედან, უნდა მოხდეს გირაოს უზრუნველყოფა ქონებით, თუმცა ეს არის პროცესუალური ნორმა, რომლის შესრულებას ფიზიკურად ვერ ვასწრებ ამ ჩემი რეჟიმიდან გამომდინარე. თუ დღეს მოესწრება ამის გაკეთება, ის ხვალ იქნება გათავისუფლებული, – განაცხადა ადვოკატმა ჯიტა გულუამ.

დაცვის მხარეს აქვს იმედი, რომ მას საპატრიარქო უშუამდგომლებს, თუმცა სამეგრელოს ეპარქიაში აცხადებენ, რომ მათ მხოლოდ ლოცვა შეუძლიათ.

– ჩვენი ვალი სწორედ ეს არის, რომ ჩვენი თანადგომა იყოს ლოცვითი შუამდგომლობით გამოხატული. შვილისა და ძმის მობრუნებაზე ვიფიქროთ, – აცხადებს ერთ-ერთი სასულიერო პირი.

შეგახსენებთ, რომ ზუგდიდში, ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით 2 პირი დააკავეს, სვიმონ ქავთარაძე და რომან მალანია.

ერთ-ერთი დაკავებული ათონის მთაზე მოღვაწე 32 წლის მამა სვიმონ ქავთარაძეა.

რომან მალანიას სასამართლომ აღკვეთის სახით 10 ათას ლარიანი გირაო შეუფარდა. მას ამისათვის 30 დღიანი ვადა მიეცა, რაც იმას ნიშნავს, რომ თანხის გადახდამდე იგი საპატიმროში დარჩება.

ქარელში ცოლისძმამ სიძე მოკლა

6 დეკემბერს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბში 22 წლის ახალგაზრდა მოკლეს.

ცოლის ძმამ 22 წლის სიძე მოკლა.

ბრალდებული, რომელიც 24 წლისაა, მიიმალა. დანაშაულის მიზეზად ურთიერთშელაპარაკება სახელდება.

მკვლელობა დღის 3 საათზე მოხდა, მკვლელობაში ბრალდებული ბაჩანა ცინგიშვილის ახლობლები „კურიერთან“ საუბრისას ყვებიან, რომ გარდაცვლილსა და ბაჩანას შორის შელაპარაკება ფატალურად დასრულდა.

მომხდარზე საუბარი უჭირთ როგორც ნათესავებს, ასევე მეზობლებსაც, თუმცა ამბობენ, რომ შელაპარაკების მიზეზი სწორედ ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტი იყო.

ერთ-ერთი მეზობელი, ლაურა კავსაძე „კურიერთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ ცოლ-ქმრის დაშორების შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ, თუმცა, მისი თქმით, ბოლოს ისინი შერიგდნენ.

– ეს გოგო სამტრედიაში იყო გათხოვილი და ამ დღეებში გავიგეთ, რომ ოჯახიდან იყო წამოსული შელაპარაკების გამო. ქმარი მოსულა გუშინ შესარიგებლად და კარგად ჩაიარა ყველაფერმა, როგორც ვიცით, შერიგდნენ, მაგრამ სიძეს უთქვამს ცოლისძმისთვის, ჩამოდი, ბაჩანა, დავილაპარაკოთო, ჩასულან დაბლა და ხუთ წუთში მოხდა ზუსტად ეს ამბავი, – განაცხადა ლაურა კავსაძემ.

მომხდარ ფაქტზე შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო.

ზაზა სარალიძესა და მიხეილ კალანდიას ადვოკატს შორის შელაპარაკება მოხდა

ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ მიხეილ კალანდიას ადვოკატ ზურაბ თოდუასა და ზაზა სარალიძეს შორის სასამართლოს ეზოში მცირე შელაპარაკება მოხდა.

როგორც პროცესის დაწყებამდე ჟურნალისტებს ზურაბ თოდუამ განუცხადა, ის ზაზა სარალიძემ გააფრთხილა, რომ „ჭკვიანად იყოს“.

ადვოკატი ამბობს, რომ სარალიძის განცხადებებზე პროკურატურას სთხოვს, სათანადო რეაგირება მოახდინოს.

– მაფრთხილებს, რომ ჭკვიანად უნდა ვიყო. ასეთივე გაფრთხილება მან 27 ნოემბერს გააკეთა სასამართლო პროცესზე. საჯაროდ მინდა განვაცხადო, ასეთი კი არა, უფრო ძლიერი გაფრთხილებებიც არ მოქმედებს ჩემზე. ამასთან დაკავშირებით, აცრილი ვარ.

უდავო გარემოებად არის მიჩნეული, რომ კონფლიქტი, რომელიც დაიწყო 51-ე სკოლის საპირფარეშოში, ერთ-ერთი მოსწავლის ძალისხმევით ამოიწურა. ამის შემდეგ წარმოშობილ კონფლიქტზე გაგონებაც არ უნდა არავის, არადა საქმისათვის მნიშვნელოვანია.

არ არის გამორიცხული, მისი გაღიზიანება ამით იყოს გამოწვეული და მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებებით უკმაყოფილოა და მიაჩნია, რომ ეს ჩვენი ზემოქმედების შედეგად არის განხორციელებული, – განაცხადა ადვოკატმა თოდუამ.

ვ.კ.-ს მკვლელობის მცდელობისთვის თ.ფ.-ს 7 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული თ.ფ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 13 აპრილს დაახლოებით 12:00 საათზე, თბილისში, აგლაძის ქუჩაზე მდებარე ავტოსახელოსნოში, ხელოსანმა თ.ფ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ვ.კ.-ს სხეულის სხვადასხვა არეში დანით ჭრილობები მიაყენა.

დროულად აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების შედეგად ვ.კ.-ს გადარჩენა მოხერხდა. სამართალდამცველებმა თ.ფ. იმავე დღეს დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108 მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ თ.ფ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ჩხოროწყუში მამაკაცის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებულ პოლიციელს პატიმრობა შეეფარდა

ჩხოროწყუში, მამაკაცის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებულ პოლიციელს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთის სახით პატიმრობა შეუფარდა, რითაც პროკურატურის შუამდგომლობა სრულად დაკმაყოფილდა.

პროცესი მედიისთვის დახურული იყო.

სხდომის დასრულების შემდეგ ბრალდებულის ადვოკატმა სოსო ჯალაღონიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დაკავებული ბრალს არ აღიარებს და მოსამართლის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

მისივე თქმით, ბრალდების მხარეს უნდა დაესაბუთებინა პატიმრობის მიზანშეწონილობა, თუმცა მან ეს ვერ მოახერხა.

საქმესთან დაკავშირებით სხვა დეტალებზე არ უსაუბრია არც ბრალდებულის და არც დაზარალებულის უფლებადამცველებს.

მამაკაცს, რომელიც პოლიციელს გაუპატიურებაში ადანაშაულებს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი ჯანო ჭკადუა იცავს. ჩხოროწყუში პოლიციელი მამაკაცის გაუპატიურების ბრალდებით, მოსამართლის განჩინებით, დააკავეს.

ფაქტზე გამოძიება 137-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გაუპატიურებას გულისხმობს.

სუსმა ქედაში ტარიელ თ. დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო ქრთამის აღების ფაქტზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტის დაკავებაზე ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ტარიელ თ-მ მოქალაქეს ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ მეძიბნაში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვო მშენებლობაში მფარველობის სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა და ორ ნაწილად აიღო 2.000 ლარი“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინების თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით].

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

ყალბი 500-ევროიანების გავრცელებისთვის 2 უცხოელი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, საქართველოში შემოიტანეს და ქვემო ქართლის რეგიონში გაასაღეს 20 ცალი ყალბი 500-ევროიანი კუპიურა. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია 10.000 ევროს ოდენობის ყალბი კუპიურა, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

რუსთავი-თბილისის მაგისტრალზე ტრაილერი ამობრუნდა

100 ცხვარი დაიხოცა

5 დეკემბერს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავი-თბილისის მაგისტრალზე, რესტორან მარაბდასთან.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ტრაილერის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ამოტრიალდა.

ტრაილერს ცხვრები გადაჰყავდა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, 100-ზე მეტი ცხვარი დაიხოცა.

ადგილზე მობილიზებული იყო სამაშველო სამსახურისა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

მომხდარის გამო აღნიშნულ მონაკვეთზე საავტომობილო მოძრაობა შეზღუდული იყო.

ტუსკი: „თუ ვერ დავიცავთ უკრაინას რუსული აგრესიისგან, ეს ევროპის პრობლემაც იქნება“

ევროპული საბჭოს ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტუსკის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ევროპა ვერ შეძლებს უკრაინის რუსული აგრესიისგან დაცვას, მასაც პრობლემები შეექმნება.

– თუ ჩვენ ვერ შევძლებთ, დავიცვათ უკრაინა რუსული აგრესიისგან, ეს მხოლოდ უკრაინის კი არა, მთლიანად ევროპის პრობლემა იქნება. ჩემი მოლოდინი იყო, რომ ემანუელ მაკრონიც ამ მიმართულებით ძალიან თანმიმდევრული იქნებოდა, – განაცხადა ტუსკმა.

მან თანამდებობის დატოვების შემდეგ პირველ ინტერვიუში „ბრექსითზეც“ ისაუბრა. მისი თქმით, ეს „ყველაზე სევდიანი და მტკივნეული გამოცდილებაა“, რაც ევროპულ საბჭოში მუშაობის დროს ჰქონდა.

დონალდ ტუსკმა ემანუელ მაკრონი ნატო-ს შესახებ განცხადებების გამოც გააკრიტიკა.

– თუ ჩვენ გვსურს, მაკრონს მოვეპყრათ ისე, როგორც მომავალში მთლიანი ევროპის ლიდერს, მაშინ მან უნდა იგრძნოს მეტი პასუხისმგებლობა არა მარტო საფრანგეთის, არამედ მთლიანად ევროკავშირის მიმართ, – განაცხადა დონალდ ტუსკმა.

ქალეიდოსკოპი

თაღლითმა ქალი შეაცდინა და ციხეში აღმოჩნდა



ამერიკელ თაღლითს, რომელიც გაცნობის ვებ-გვერდზე ქალებს ატყუებდა, შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

35 წლის ჯონ მარტინ ჰილი სასამართლოს წინაშე გასული თვის ბოლოს წარდგა. მას ბრალი თაღლითობის უამრავ ეპიზოდში დასდეს – ის გაცნობის ვებ-გვერდებზე ქალებს ატყუებდა, ფულებს სცინცლავდა და შემდეგ უჩინარდებოდა. სასამართლომ მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და 13 წლით პირობითი პატიმრობა მიუსაჯა.

მას ასევე დაეკისრა, ერთ-ერთი თავისი მსხვერპლისთვის 83,5 ათასი დოლარის გადახდა და ავტომობილი ბმვ-ს დაბრუნება, რომელიც მისი ფულით იყიდა. როდესაც ჰილი ციხიდან გამოვა, მას გაცნობის ვებ-გვერდებით სარგებლობა აკრძალული ექნება.

თაღლითისგან დაზარალებულმა ქალმა ის გაცნობის ვებ-გვერდზე 27 მარტს გაიცნო. იმავე დღეს წყვილი ერთმანეთს შეხვდა, ხოლო უკვე ერთ კვირაში ჰილმა მას ხელი სთხოვა. მამაკაცი ქალს არწმუნებდა, რომ მილიონერი იყო, გულუბრყვილო ქალი დაარწმუნა, რომ ისინი ერთმანეთისთვის იყვნენ შექმნილები და სახლი უნდა ეყიდათ.

როგორც კი ქალმა თაღლითს ფული გადასცა, მამაკაცმა მასთან ურთიერთობა შეწყვიტა და უკვალოდ გაუჩინარდა.

გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ დამნაშავე მამაკაცი ადრე ქალაქ დულუტში სხვა ქალთან და ბავშვთან ერთად ცხოვრობდა. თაღლითმა ბოლო 2,5 წელიწადში სახელი და გვარი მინიმუმ ხუთჯერ მაინც შეიცვალა. თუმცა ჰილმა თავი დამნაშავედ მხოლოდ ერთ ეპიზოდში აღიარა.

ძაღლმა მიკროტალღური ღუმელი ჩართო და სახლი გადაწვა

ინგლისის ესექსის საგრაფოს ქალაქ სტანფორდ-ლეჰოპში სახლში მარტო დარჩენილმა ძაღლმა მიკროტალღური ღუმელი ჩართო და ხანძარი გააჩინა.

ჰასკის ჯიშის ძაღლი სახლში მარტო იმყოფებოდა. მან როგორღაც მოახერხა სამზარეულოში ელექტრომოწყობილობის ჩართვა. მასში ფუნთუშების შეკვრა ეწყო, რომელსაც ცეცხლი წაეკიდა და ხანძარი გაჩნდა.

ძაღლის პატრონებმა მომხდარის შესახებ მობილური ტელეფონის პროგრამის წყალობით შეიტყვეს, რომელიც საშუალებას იძლევა, სათვალთვალო კამერის დახმარებით თვალი ადევნო იმას, თუ რა ხდება სახლში.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა აღმოაჩინეს, რომ სამზარეულო ბოლით იყო სავსე და დარწმუნდნენ, რომ ცეცხლი სხვა ოთახებში არ იყო გავრცელებული. ამ შემთხვევის შედეგად ძაღლი არ დაშავებულა.

ქურდებმა საიდუმლო პოლიციის მუზეუმში შეაღწიეს

გერმანიის დედაქალაქ ბერლინში უცნობმა პირებმა საიდუმლო პოლიციის შტაზის მუზეუმი გაქურდეს.

ბოროტმოქმედებმა შენობაში პირველი სართულის ფანჯრიდან შეაღწიეს. მათ ჩაამსხვრიეს რამდენიმე ვიტრინა, მოიპარეს მედლები, ასევე ოქროს საიუველირო ნაკეთობები და მიიმალნენ.

უცნობია, თუ კონკრეტულად როდის მოხდა ქურდობა. მუზეუმის თანამშრომელმა საგამოფენო დარბაზებში ჩამსხვრეული ვიტრინები 1 დეკემბერს დილით აღმოაჩინა.

მუზეუმის დირექტორმა ჯოერგ დრისელმანმა განაცხადა, რომ დაკარგულ მედლებს შორისაა: ოქროს პატრიოტული ორდენი „სამშობლოს წინაშე თავდადებისთვის“, კარლ მარქსის ორდენი – უმაღლესი ჯილდო, რომლითაც აღმოსავლეთ კომუნისტურ გერმანიაში აჯილდოებდნენ და ლენინის ორდენი. ჯილდოების გარდა, ქურდებმა მუზეუმიდან ასევე გაიტანეს ბეჭდები და საათები, რომლებიც ოდესღაც შტაზის თანამშრომლებმა მოქალაქეებს ჩამოართვეს.

კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ ბევრი ნივთი მფლობელებს დაუბრუნდა, ხოლო ისინი, რომლებსაც მფლობელები არ გამოუჩნდნენ, შტაზის მუზეუმში გამოფინეს.

ძლიერმა ტალღამ შეყვარებულებს გადაუარა

დომინიკანის რესპუბლიკაში უზარმაზარმა ტალღამ ნაპირთან მდგარ ტურისტებს იმ დროს გადაუარა, როდესაც ისინი ფოტოსესიას მართავდნენ. ამის ამსახველი ვიდეო ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე თვითმხილველმა იოჰენ ფრანკმა გამოაქვეყნა.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ადევნებს თვალს ოკეანის ღელვას ტურისტული კომპლექსის სანაპიროზე მყოფი მოგზაური წყვილი. როგორც კი გოგონამ ტელეფონი ამოიღო, რათა სურათი დიდი ტალღის ფონზე გადაეღო, წყლის დიდი მასა წყვილს თავს დაატყდა და წააქცია, თუმცა შეყვარებულები მალევე წამოდგნენ და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

აღნიშნულმა ვიდეომ დიდი პოპულარობა მოიპოვა და სოციალური ქსელის მომხმარებლების აღფრთოვანება გამოიწვია.

– ეს ვიდეო, უბრალოდ, შედევრია, თუმცა, ამავე დროს, იმედი მაქვს, რომ ისინი არ დაშავებულან, – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– ეს მართლა მოხდა? რა ადგილია? ვგონებ, ეს ყველაზე დიდი ტალღაა, რომელიც კი ოდესმე მინახავს. იმედი მაქვს, შეყვარებულებს არაფერი დაშავებიათ, – დაწერა მეორემ.

საფრანგეთში დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს

დაკავებულია ათობით ადამიანი

საფრანგეთში მასშტაბური გაფიცვა გრძელდება. მოსახლეობა პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის მიერ დაანონსებულ საპენსიო რეფორმას აპროტესტებს.

5 დეკემბერს საღამოს პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა მაშინ, როდესაც მომიტინგეები პიროტექნიკას შენობების მიმართულებით ისროდნენ და ნაგვის ურნებს ცეცხლს უკიდებდნენ. დაკავებულია ათობით ადამიანი.

პარალიზებული იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტი, დახურული იყო სკოლები, გადაიდო ფრენები და არ მუშაობდა რკინიგზის 90%. დახურული იყო ტურისტებისთვის საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ღირსშესანიშნაობა, ლუვრის მუზეუმი.

საფრანგეთის პოლიციის ცნობით, ქვეყნის მასშტაბით ქუჩებში 806.000 ადამიანი გამოვიდა.

პროფკავშირები ბევრად მაღალ ციფრს ასახელებენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

უზარმაზარმა მემკვიდრეობამ ქალი უსახლკარო ნარკომანად აქცია

ინგლისის ქალაქ კემბრიჯში ქალმა 250 ათასი ფუნტი სტერლინგის მემკვიდრეობა ნარკოტიკებში გაფლანგა და უსახლკაროდ დარჩა. ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას მილ-როუდის ქუჩაზე გამოჩენა აუკრძალეს.

51 წლის ლორა უებმა, რომელსაც ორი გოგონა ჰყავს, ოჯახის ერთ-ერთი წევრისგან მემკვიდრეობა მიიღო, თუმცა სულ რაღაც 14 თვეში მთელი მემკვიდრეობა გაანიავა და მილ-როუდის ქუჩაზე მაწანწალობას მიჰყო ხელი. აღსანიშნავია, რომ ვიდრე ნარკოდამოკიდებული გახდებოდა, ქალი გათხოვილი იყო და უძრავ ქონებას ფლობდა.

ნოემბრის ბოლოს საქმის სასამართლო მოსმენაზე უებმა თავი დამნაშავედ აღიარა ქურდობაში, ზარალის მიყენებასა და სასწრაფო დახმარების თანამშრომელზე თავდასხმაში, ასევე ლოთობასა და მილ-როუდის ქუჩაზე არეულობების მოწყობაში. სასჯელის სახით ქალს ორი წლით იმ რაიონში გამოჩენა აეკრძალა და წლინახევრით საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულება დაეკისრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ილამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

დერბების ჭური

სტატისტიკა, ფსონები

სუპერმატჩია ინგლისში – მანჩესტერულ დერბიში სიტი დაუხვდება იუნაიტედს. დერბია გერმანიაშიც, სადაც მიუნხენში გლადბახის სტადიონს ბაიერნი ესტუმრება. ასევე საინტერესო მატჩებია იტალიაში – ლაციო ტურინის იუვენტუსს უმასპინძლებს, ხოლო საფრანგეთში მარსელი-ბორდო გაიმართება.

07.12 ევერტონი-ჩელსი	3.45	3.70	2.05
07.12 უოტფორდი-კრ.პალასი	2.30	3.30	3.15
07.12 ტოტენჰემი-ბარნლი	1.45	4.80	7.25
07.12 ბორნმუთი-ლივერპული	6.50	4.80	1.45
07.12 სიტი-მანჩესტერი	1.30	5.50	9.25
08.12 ნიუკასლი-საუთჰემპტონი	2.65	3.20	2.75
08.12 ნორვიჩი-შეფილდი	2.95	3.45	2.40
08.12 ასტონ ვილა-ლესტერი	4.40	3.95	1.75
08.12 ბრაიტონი-ვულვზი	2.70	3.15	2.75
09.12 ვესტ ჰემი-არსენალი	3.60	4.00	1.90

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	15	14	1	0	37-14	43
2.ლესტერი	15	11	2	2	35-9	35
3.სიტი	15	10	2	3	43-17	32
4.ჩელსი	15	9	2	4	30-21	29
5.ვულვზი	15	5	8	2	21-17	23
6.მანჩესტერი	15	5	6	4	22-18	21
7.კრ.პალასი	15	6	3	6	14-18	21
8.ტოტენჰემი	15	5	5	5	25-23	20
9.შეფილდი	15	4	7	4	17-15	19
10.არსენალი	15	4	7	4	21-23	19
11.ნიუკასლი	15	5	4	6	15-22	19
12.ბარნლი	15	5	3	7	21-24	18
13.ბრაიტონი	15	5	3	7	18-22	18
14.ბორნმუთი	15	4	4	7	18-21	16
15.ვესტ ჰემი	15	4	4	7	17-25	16
16.ასტონ ვილა	15	4	3	8	22-24	15
17.საუთჰემპტონი	15	4	3	8	17-33	15
18.ევერტონი	15	4	2	9	16-27	14
19.ნორვიჩი	15	3	2	10	16-32	11
20.უოტფორდი	15	1	5	9	9-30	8

გერმანია

07.12 გლადბახი-ბაიერნი	5.25	4.75	1.55
07.12 დორტმუნდი-ფორტუნა	1.30	5.75	8.75
07.12 ლაიფციგი-ჰოფენჰაიმი	1.45	4.95	6.50
07.12 ფრაიბურგი-ვოლფსბურგი	2.90	3.35	2.45
07.12 აუგსბურგი-მაინცი	2.30	3.60	2.95
07.12 ლევერკუზენი-შალკე	1.95	3.65	3.80
08.12 უნიონი-კიოლნი	2.20	3.50	3.25
08.12 ვერდერი-პადერბორნი	1.55	4.70	5.50

სატურნირო ცხრილი:

1.გლადბახი	13	9	1	3	28-15	28
2.ლაიფციგი	13	8	3	2	35-15	27
3.შალკე	13	7	4	2	24-16	25
4.ბაიერნი	13	7	3	3	34-18	24
5.დორტმუნდი	13	6	5	2	28-19	23
6.ფრაიბურგი	13	6	4	3	23-17	22
7.ლევერკუზენი	13	6	4	3	20-17	22
8.ვოლფსბურგი	13	5	5	3	15-13	20
9.ჰოფენჰაიმი	13	6	3	4	18-20	21
10.აინტრახტი	13	5	2	6	22-20	17
11.უნიონი	13	5	1	7	16-19	16
12.მაინცი	13	5	0	8	19-32	15
13.ვერდერი	13	3	5	5	22-28	14
14.აუგსბურგი	13	3	5	5	18-25	14
15.ფორტუნა	13	3	3	7	16-24	12
16.ჰერტა	13	3	2	8	18-27	11
17.კიოლნი	13	2	2	9	12-28	8
18.პადერბორნი	13	1	2	10	16-32	5

ესპანეთი

07.12 რეალი-ესპანიოლი	1.20	6.75	13.50
07.12 გრანადა-ალავესი	2.25	3.05	3.65
07.12 ლევანტე-ვალენსია	3.05	3.70	2.20
07.12 ბარსელონა-მალიორკა	1.14	8.75	18.50
08.12 ეიბარი-ხეტაფე	2.80	2.95	2.80
08.12 ბეტისი-ბილბაო	2.35	3.20	3.20
08.12 ვალიადოლიდი-სოსიედადი	3.25	3.20	2.35
08.12 ლეგანესი-სელტა	2.35	3.05	3.35
08.12 ოსასუნა-სევილია	3.40	3.30	2.20

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	14	10	1	3	36-16	31
2.რეალი	14	9	4	1	30-11	31
3.სევილია	15	9	3	3	19-14	30
4.სოსიედადი	15	8	2	5	26-18	26
5.ბილბაო	15	7	5	3	17-9	26
6.ატლეტიკო	15	6	7	2	16-10	25
7.ხეტაფე	15	6	6	3	23-16	24
8.ვალენსია	15	6	5	4	22-21	23
9.ოსასუნა	15	5	7	3	21-17	22
10.გრანადა	15	6	3	6	20-20	21
11.ლევანტე	15	6	2	7	18-21	20
12.ბეტისი	15	5	4	6	19-25	19
13.ვილიარეალი	15	5	3	7	28-24	18
14.ალავესი	15	5	3	7	17-20	18
15.ვალიადოლიდი	15	4	6	5	14-18	18
16.ეიბარი	15	4	3	8	15-27	15
17.მალიორკა	15	4	2	9	14-24	14
18.სელტა	15	3	4	8	10-20	13
19.ესპანიოლი	15	2	3	10	10-28	9
20.ლეგანესი	15	1	3	11	8-25	6

იტალია

07.12 ატალანტა-ვერონა	1.35	5.25	8.75
07.12 უდინეზე-ნაპოლი	5.00	3.75	1.70
07.12 ლაციო-იუვენტუსი	2.85	3.45	2.45
08.12 ლეჩე-ჯენოა	2.65	3.50	2.60
08.12 სპალი-ბრეშა	2.10	3.30	3.75
08.12 ტორინო-ფიორენტინა	2.45	3.20	3.05
08.12 სასუოლო-კალიარი	2.45	3.50	2.80
08.12 სამპდორია-პარმა	2.00	3.40	3.90
08.12 ბოლონია-მილანი	2.90	3.35	2.45

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	14	12	1	1	31-13	37
2.იუვენტუსი	14	11	3	0	25-12	36
3.ლაციო	14	9	3	2	33-14	30
4.კალიარი	14	8	4	2	29-17	28
5.რომა	14	8	4	2	26-15	28
6.ატალანტა	14	7	4	3	34-21	25
7.ნაპოლი	14	5	5	4	23-18	20
8.პარმა	14	5	3	6	20-18	18
9.ვერონა	14	5	3	6	12-14	18
10.ტორინო	14	5	2	7	16-20	17
11.მილანი	14	5	2	7	13-17	17
12.ბოლონია	14	4	4	6	20-23	16
13.ფიორენტინა	14	4	4	6	18-21	16
14.სასუოლო	13	4	2	7	24-25	14
15.ლეჩე	14	3	5	6	18-27	14
16.უდინეზე	14	4	2	8	9-23	14
17.სამპდორია	14	3	3	8	12-24	12
18.ჯენოა	14	2	4	8	15-28	10
19.სპალი	14	2	3	9	9-21	9
20.ბრეშა	13	2	1	10	10-26	7

საფრანგეთი

07.12 მონპელიე-პსჟ	6.25	4.70	1.45
07.12 მონაკო-ამიენი	1.45	4.60	6.50
07.12 სტრასბური-ტულუზა	1.70	3.85	4.85
07.12 ნიცა-მეცი	1.85	3.50	4.65
07.12 რენი-ანჟე	2.10	3.25	3.65
08.12 რეიმსი-სტ.ეტიენი	2.00	3.25	4.05
08.12 ნანტი-დიჟონი	1.80	3.60	4.55
08.12 მარსელი-ბორდო	1.65	4.00	5.25

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	15	12	0	3	32-8	36
2.მარსელი	16	9	4	3	22-12	31
3.ბორდო	16	7	5	4	27-17	26
4.ლილი	16	7	4	5	20-15	25
5.სტ.ეტიენი	16	7	4	5	20-20	25
6.მონპელიე	16	6	6	4	20-14	24
7.რენი	15	7	3	5	20-16	24
8.ანჟე	16	7	3	6	19-21	24
9.ნანტი	16	7	2	6	14-16	23
10.ლიონი	16	6	4	6	24-16	22
11.რეიმსი	15	5	6	4	11-8	21
12.ბრესტი	16	5	6	5	21-19	21
13.მონაკო	15	6	3	6	23-25	21
14.ნიცა	16	6	2	8	21-26	20
15.სტრასბური	16	5	3	8	16-21	18
16.დიჟონი	16	4	4	8	11-18	16
17.ამიენი	15	4	4	7	19-28	16
18.მეცი	16	3	6	7	13-21	15
19.ნიმი	15	2	6	7	12-24	12
20.ტულუზა	16	3	3	10	17-31	12

მსოფლიოს ყველაზე მოხდენილი მამაკაცი დასახელდა

ფრანგ-ამერიკელი მსახიობი ტიმოთი შალამე მსოფლიოს ყველაზე მოხდენილ მამაკაცად აღიარეს. ამას ამტკიცებს ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის მიერ საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნებული რეიტინგის შედეგები.

ასეთი ტიტული მსახიობმა ორიგინალური მოდური გადაწყვეტილებების წყალობით მიიღო, რომელთა დემონსტრირებას ის წითელ ხალიჩებზე ახდენდა. გამოცემა აღნიშნავს, რომ ასეთ რისკზე მრავალი ცნობილი პიროვნება მიდის, თუმცა ძალიან ხშირად მათი ეს მცდელობა კრახით მთავრდება.

– მაგრამ მხოლოდ არა შალამე, რომელიც ერთმანეთს სხვადასხვა დიზაინერულ გადაწყვეტას უხამებს და, ამ დროს, ისევე შთამბეჭდავად და დამაჯერებლად გამოიყურება, თითქოს ჩვეულებრივ შავ კოსტიუმში იყოს გამოწყობილი, – დაასკვნეს გამოცემის რედაქტორებმა.

გარდა ამისა, ჟურნალისტების აზრით, იმაში, რომ ყოველთვის მოხდენილად გამოიყურებოდეს, მსახიობს სხეულის აგებულება და „შთამბეჭდავად სიმპათიური სახე“ ეხმარება.

ხათუნა ჟორდანია სიმსივნეს ებრძვის

მომღერალი ხათუნა ჟორდანია სიმსივნეს ებრძვის.

ინფორმაცია ამის შესახებ მისმა მეუღლემ, ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ წევრმა ზურა ხაჩიძემ გაავრცელა.

როგორც ზურამ აღნიშნა, ხათუნას ახველებდა, რის გამოც შვილმა ნინი ქარსელაძემ ექიმთან წაიყვანა და ასე აღმოაჩინეს, რომ მას ფილტვის სიმსივნე ჰქონდა.

ზურამ ყველას სთხოვა, რომ ილოცონ და ღმერთს ხათუნას გამოჯანმრთელება სთხოვონ.

ჯიჯი ჰადიდი პოდიუმზე შიშველ სხეულზე ჩაცმული პიჯაკით გამოვიდა

ამერიკელმა სუპერმოდელმა ჯიჯი ჰადიდმა Chanel's Metiers d'art 2019-2020-ის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა.

აღნიშნული ღონისძიება პარიზის გრან-პალეში გაიმართა. 24 წლის ჯიჯი ჰადიდი პოდიუმზე ბრჭყვიალა ტვიდის კოსტიუმით გამოვიდა, რომლის პიჯაკის სახელოები თეთრი მანჟეტებით მთავრდებოდა, ქვედაბოლო კი მუხლებამდე იყო. პიჯაკის ქვეშ მოდელს არაფერი ეცვა, გარდა მრავალი ფენის შავი მარგალიტის მძივებისა, რომლებიც ქამრამდე აღწევდა. წელზე ეკეთა დეკორატიული ქამარი, რომელიც ასევე მრავალი ფენის მარგალიტების მძივებისგან შედგებოდა.

ჰადიდის გარეგნობას ასევე ავსებდა Chanel-ის ლოგოტიპიანი საყურეები და პატარა ბაფთებით დამშვენებული შავი ფეხსაცმელები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი ცხადაძე ტელეწამყვანი გახდა

„მხოლოდ ქართულის“ მეორე სეზონის მონაწილე და ახმეტელის თეატრის მსახიობი გიორგი ცხადაძე ტელეწამყვანი გახდა.

მას ტელეკომპანია „ფორმულის“ დილის გადაცემაში ამინდის პროგნოზი მიჰყავს და თან მაყურებელს საინტერესო სტუმრებს აცნობს. გიორგისთვის ეს ახალი და საინტერესო გამოწვევაა.

პარალელურად, ხელოვანი აქტიურად მუშაობს ახმეტელის თეატრში, წერს სიმღერებს და სულ მალე თავის პირველ კლიპსაც შესთავაზებს გულშემატკივრებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბატონო როინ!

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და შემოქმედებით წარმატებებს. გჯეროდეთ, რომ არამხოლოდ კოლეგები, არამედ ქართველი საზოგადოება კვლავაც ელის ჩვენი სამშობლოს წარსულის საკვანძო საკითხების თქვენეულ გააზრებას, საინტერესო კვლევის შედეგებს.

ბატონო როინ, თქვენ არაერთი მამულიშვილური საქმის ბალავრის დამდები და წარმმართველი ბრძანდებით და ღრმად გვჯერა, საისტორიო მეცნიერებისა და ზოგადად ჰუმანიტარული დარგების განვითარებისათვის კიდევ მრავალ ახალ და საჭირო წინადადებას შესთავაზებთ ქვეყანას.

განსაკუთრებულია და მისაბაძი თქვენი დამოკიდებულება საკუთარი მასწავლებლებისა და მოწაფეების მიმართ. ყველგან იგრძნობა ოსტატ-შეგირდობის საუკუნოვანი ტრადიციებისადმი ერთგულება, რაც ნებისმიერ სფეროში წარმატების მიღწევის უცილობელი პირობაა.

თქვენს თანადგომასა და მზრუნველობას ყოველთვის გრძნობდნენ მეგობრები, ახლობლები, კოლეგები და ზოგჯერ სრულიად უცნობი ადამიანებიც კი. ღმერთმა არ მოგვიშალოს ეს იმედი.

მრავალჟამიერ, ბატონო როინ!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მაროკოს ქალაქ ფესში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი; 2. ღვინის მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 3. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 4. უბანი თბილისში; 5. კართაგენელი მხედართმთავარი; 8. ირანის საინფორმაციო სააგენტო; 12. ამერიკელი კოვბოების ცხოველთა დასაჭერი, სასროლი ქამანდა; 13. ენის ბგერითი შედგენილობის შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 14. ცხარე საწებელი; 16. შვეიცარიაში მდებარე ევროპაში ყველაზე გრძელი სატრანსპორტო გვირაბი; 18. ყვითელი ფერის, გამჭვირვალე, მკვრივი ფისოვანი მინერალი; 20. ყველაზე დაბალი რეგისტრის მქონე ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი.

თარაზულად: 6. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 7. ბაღერინას ძირითადი კლასიკური პოზა; 8. ქართველი მოფარიკავე მამაკაცი, ევროპის ჩემპიონი; 9. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 10. საახალწლო ტკბილეული; 11. ყველაზე მსუბუქი ქიმიური ელემენტი, აირი; 15. ამერიკელი ილუზიონისტი; 17. ღარიბი, ღატაკი, უქონელი ადამიანის ძველებური სახელწოდება; 19. თამაში–გამოცანა; 21. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი; 22. გერმანული ყველი; 23. შექსპირის ტრაგედია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კვირიკე; 2. შატილი; 3. ბაბანეური; 4. საღამო; 5. ბილფელდი; 7. სვია; 11. ტაპიორი; 13. ანალები; 15. ელისო; 16. სოტბი; 18. ივერი; 19. ლეგია.

თარაზულად: 6. ვოლსკი; 8. კალმახი; 9. ნაღველი; 10. ინფანტი; 12. კირხე; 14. ჯოყოლა; 17. რქაწითელი; 20. ოჩოკოჩი; 21. ესკიზი; 22. რუბიკი; 23. პიროლიზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბუკლეტი; 2. მადაფათა; 3. ქოჩარი; 4. ქორქი; 5. ნიკოლაძე; 8. კოსინუსი; 12. აუდი; 13. გრიზაილი; 14. ენეიდა; 16. შილინგი; 18. ღალია; 20. პინო.

თარაზულად: 6. ჩურჩხელა; 7. აპოთეოზი; 8. კაშასა; 9. კენზო; 10. პარალიზი; 11. ტალახაძე; 15. ბრიჯსტოუნი; 17. მიზანი; 19. დისპაშერი; 21. ჯინჯილა; 22. დილეტანტი; 23. ფოცხოვი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9466

ევრო — 3.2690

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8683

100 რუსული რუბლი — 4.6333

ამინდის პროგნოზი 7 დეკემბერი





3 დეკემბრიდან

წიგნი I-II

რჩეული საბავშვო მოთხრობები

რჩეული მოთხრობების ორტომეული მოიცავს ქართველი მწერლების საბავშვო ნაწარმოებებს. წიგნში შესულია 46 ავტორის 184 ნაწარმოები. ტექსტს ყველგან ახლავს რუბრიკა „სიტყვის არსი“, რომელშიც ლექსიკონის სახით განმარტებულია ყმაწვილებისათვის უცნობი, გაუგებარი ან ნაკლებად გასაგები სიტყვები და ფრაზები.

ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი

დათო ევგენიძე 60 წლის იუბილეს კონცერტით აღნიშნავს

მუსიკოსი და პოეტი დათო ევგენიძე 60 წლის იუბილეს კონცერტით აღნიშნავს.

9 დეკემბერს ტყიბულის მაყვალა ქასრაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში ხელოვანის საიუბილეო კონცერტი გაიმართება.

დათო ევგენიძეს საიუბილეო საღამოზე წარმოდგენილი იქნება დათო ევგენიძის პოეზიის სამი კრებული.

იუბილარი ხელოვანი შეკრებილი საზოგადოებისთვის მუსიკალურ ნომრებსაც შეასრულებს და თავის რამდენიმე ლექსსაც წაიკითხავს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

7 დეკემბრისათვის

ვერძი – რთული დღეა, დაკავშირებული შეუსრულებელ მოვალეობებთან. თავი შეიკავეთ შორს გამგზავრებისაგან. **კურო** – ემოციების გამოვლენას პლანეტები არ გირჩევენ. შედეგით უკმაყოფილო დარჩებით. სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ტყუპები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. პირობა შეასრულეთ. მეგობრებს და ნათესავებს შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ. **კირჩხიბი** – კონტაქტი მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებთან იქონიეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **ლომი** – გამოიჩინეთ პრაქტიკულობა. მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. **ქალწული** – აქტიური ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. საღი აზროვნება შექმნილი პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებათ. **სასწორი** – მოსალოდნელია კარიერული წინსვლა. საქმე მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით აკეთეთ. **ღრიანცელი** – შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს თვითგამოხატვის საშუალება ეძლევათ. ჰარმონიული დღეა. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. პარტნიორთან ურთიერთობის გართულებას ერიდეთ. **თხის რქა** – კრიტიკულად იაზროვნეთ. ეცადეთ, მარტო დიდხანს არ დარჩეთ. **მერწყული** – ოპტიმიზმი და სიცოცხლის ხალისი გიბრუნდებათ. საღამოს საკუთარ და ახლობლების ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. **თევზები** – იღბლიანი დღეა. საქმიანი შეხვედრებისათვის დღის პირველი ნახევარი უფრო ხელსაყრელია.

8 დეკემბრისათვის

ვერძი – დაისვენეთ, შეხვდით საყვარელ ადამიანებს. გიძლიერდებათ აურა. **კურო** – ნუ გადაიღლებით. მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. პრობლემის მოგვარებაში თქვენთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი დაგეხმარებათ. **ტყუპები** – დაუმთავრებელი საქმე უსიამოვნებას შეგიქმნით. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა. **კირჩხიბი** – მატერიალურ სფეროში ცვლილებები ჩვეულებრივად მიიღეთ. ნუ ეცდებით ღია კარის შემტვრევას. **ლომი** – ინტიმურ სფეროში, მეგობრებთან ურთიერთობაში გიმართლებთ. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. **ქალწული** – საქმიან პარტნიორთან მოლაპარაკებები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. ეცადეთ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დღეს არ მიიღოთ. **სასწორი** – ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი, განსაკუთრებით – ოჯახის წევრების მიმართ. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. **ღრიანცელი** – კეთილისმყოფელი დღეა ფინანსური ოპერაციებისათვის. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **მშვილდოსანი** – ნუ ეცდებით, ყველას თავი მოაწონოთ. ენერგია დაზოგეთ. **თხის რქა** – საქმიანი მოლაპარაკებები ჩიხში შევა. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **მერწყული** – ერიდეთ მუდამ უკმაყოფილო ადამიანებთან ურთიერთობას. ძველი ვალი დააბრუნეთ. **თევზები** – მოსალოდნელია დაძაბულობა, სტრესი. სიმშვიდე შეინარჩუნეთ და პრობლემები რაციონალურად გადაწყვიტეთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მოსამსახურე გოგონა ავად გახდა და დიასახლისმა ექიმი გამოიძახა. ექიმი მოსამსახურეს სინჯავს, როგორც კი დიასახლისი ოთახიდან გავიდა, გოგონა ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ავად არ ვარ. უბრალოდ, დიასახლისს ჩემი ორი თვის ხელფასი ვალად დაედო და სანამ არ გადამიხდის, ადგომას არ ვაპირებ.

– მაშინ იქით მიიწიე და მეც შენ გვერდით დავწვები, ჩემი 10 გამოძახების ფული აქვს მოსაცემი.

•••

ცოლი ფანჯარაში იყურება და ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ჩადი დაბლა და ჩვენი სახლის წინ რომ მათხოვარი ზის, გააგდე!

– რატომ?

– გუშინწინ ჩემი გაკეთებული კერძი ჩავუტანე, გუშინ კი წიგნი მომცა „როგორ მოვამზადოთ გემრიელი სადილი“...

•••

გოგონა, რომლის ძაღლსაც სახელად ლექსუსი ჰქვია, ვეტერინართან მიღებაზე ჩაეწერა. გოგონა ზის და თავის რიგს ელოდება. ამ დროს კაბინეტიდან ექიმმა გამოიხედა და კითხულობს:

– რომელი ხართ ლექსუსით?

ერთ-ერთი მამაკაცი წამოდგა.

– შემოდით, „კასტრაციაზე“, – ეუბნება ექიმი.

•••

დედა შვილს ეუბნება:

– ყოველი შენი ცუდი საქციელი ჩემ თმებში კიდევ ერთ ჭაღარა თმის ბეწვს ნიშნავს!

ბავშვმა ბებიას გახედა და მერე დედას მიუბრუნდა:

– დედიკო, როგორც ვატყობ, ბავშვობაში შენც დიდი ონავარი იყავი...

•••

მოგონებებში წასული სიდედრი სიძეს უყვება:

– ახალგაზრდობაში ისეთი სულელი და შეუხედავი ვიყავი...

– ახლაც ახალგაზრდულად გამოიყურებით.

•••

პაციენტი ქალი კბილის ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ისე მეშინია, არც კი ვიცი, რომელი უფრო ძნელია, კბილის ამოღება თუ ბავშვის გაჩენა!

– ჩქარა გადაწყვიტეთ. უნდა ვიცოდე, სავარძელი, როგორ პოზიციაზე დავაყენო...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კავანი, შესაძლოა, მადრიდის ატლეტიკოში გადავიდეს

პსჟ-ს ურუგვაელი ფორვარდი ედისონ კავანი, შესაძლოა, მადრიდის ატლეტიკოში გადავიდეს.

კავანის პსჟ-დან წასვლა სურს, რადგან ის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და ურუგვაელს ეს არ აკმაყოფილებს. ატლეტიკოს კი, თავის მხრივ, ახალი ფორვარდი სჭირდება, რადგან დიეგო სიმეონეს გუნდს შეტევაში პრობლემები აქვს.

კავანის პსჟ იაფად არ დათმობს და ფორვარდის სატრანსფერო ფასი 40 მილიონი ევრო იქნება. ედისონ კავანი წლების მანძილზე პსჟ-ს ლიდერი იყო, მაგრამ ნეიმარის და მბაპეს მისვლის შემდეგ მან ძირითად შემადგენლობაში მყარი ადგილი დაკარგა.

სოლსკიაერმა მანჩესტერ სიტის წარსულს დასცინა

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა მანჩესტერ სიტის უკბინა და გუნდის წარსული გაიხსენა, როდესაც სიტი ყოველთვის არ იყო პრემიერლიგაში. სოლსკიაერის თქმით, მას უხარია სიტის პროგრესი, რადგან მანჩესტერული დერბი ყოველ წელიწადს იმართება:

– მიხარია, რომ ჩვენ ყოველ წელიწადს გვაქვს ერთმანეთთან თამაშის საშუალება, რადგან ეს ყოველთვის ასე არ იყო. როდესაც ფეხბურთელი ვიყავი, მახსოვს, რომ სიტი რამდენიმე წელიწადი მეორე დივიზიონში იმყოფებოდა. იმის შემდეგ ბევრი დრო გავიდა და მათ ძალიან დიდი პროგრესი განიცადეს“.

ჩელსის სატრანსფერო ბანი მოეხსნა

ლონდონურ ჩელსის სატრანსფერო ბანი მოეხსნა და გუნდი ჩვეულებრივად შეძლებს ტრანსფერების განხორციელებას იანვრიდან.

ჩელსის ეს ბანი 2021 წლის იანვარში უნდა მოხსნოდა, მაგრამ უეფამ ლონდონელების საჩივარი გაითვალისწინა და ჩელსის ტრანსფერების განხორციელების უფლება აღუდგინა. ფრენკ ლამპარდმა ამ ფაქტის გამო სიხარული არ დამალა და თქვა, რომ იანვარში ჩელსი აუცილებლად გაძლიერდება და რამდენიმე ტრანსფერს განახორციელებს.

ზიდანი: „აზარის ტრავმა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ვფიქრობდით“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა აზარის ტრავმაზე ისაუბრა და თქვა რომ მისი ტრავმა იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე თავდაპირველად ეგონათ, თუმცა აზარი მოედანს მაინც მალე დაუბრუნდება:

– აზარს დასვენება სჭირდება და მან ტრავმა ბოლომდე უნდა მოიშუშოს. სავარაუდოდ, ის ვერ შეძლებს ბარსელონას წინააღმდეგ თამაშს, მაგრამ ჩვენ ამის გამო უკან არ დავიხევთ და მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. აზარი მოედანს მალე დაუბრუნდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ისრაელში „შოთაობა“ აღნიშნეს

ისრაელის ქალაქ ხოლონში „შოთას პარკში“ საქართველოს საელჩოსა და ხოლონის მუნიციპალიტეტის ინიციატივით შოთა რუსთაველის დღე აღინიშნა.

მსოფლიოს ყველა დროის დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დღე, „შოთაობა“, ისრაელში მცხოვრებმა ქართველებმა ოჯახებით იზეიმეს.

„შოთაობა“ ხოლონში საქართველოს ელჩმა ისრაელში ლაშა ჟვანიამ გახსნა. ღონისძიებას ქალაქ ხოლონის მერიც ესწრებოდა.

ხოლონში შოთას მემორიალთან გამართულ დღესასწაულზე იმღერეს ქართული სიმღერები, წაიკითხეს ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ და გაიხსენეს აფორიზმები, რომლებიც ბევრისთვის ცხოვრებაში უმთავრესია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯვოსვოიდი ა



ვერტიკალურად: 1. საქართველოს ეკონომიკის მინისტრი; 2. კარნავალის დროს გათამაშებული მომენტალური ლატარია; 3. იტალიის ეროვნული გმირი; 4. პატარა არია ოპერაში; 5. პოპულარული ირლანდიური ჯინი; 7. ქართული ლუდი; 11. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 13. სიტყვის ბოლოსართი; 15. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში; 16. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 18. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში.

თარაზულად: 6. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 8. სარეკლამო ლოზუნგი; 9. ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო; 10. ქცევაში, ლაპარაკში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 12. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 14. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 17. თავდაცვითი ტაქტიკა ომში; 20. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 21. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 22. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 23. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა